

# ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა რეჟიმი ევროკავშირში და მისი ზეგავლენა ინოვაციაზე

ოლეგ შატბერაშვილი

## 1. შესავალი

ეკონომიკის ერთადერთი ტიპი, რომელიც ქვეყნის კონკურენტუნარიანობასა და კეთილდღეობის გრძელვადიან ზრდას უზრუნველყოფს, ინოვაციაზე ორიენტირებული ეკონომიკაა. ამას ამტკიცებს ეკონომიკური თეორია<sup>1</sup> და მრავალი ათეული წარმატებული ქვეყნის პრაქტიკაც. რაც მთავარია, იგივეს ამტკიცებს მრავალი წარუმატებელი ქვეყნის მაგალითი, სადაც სხვა ეკონომიკური მოდელები იქნა არჩეული<sup>2</sup>. საინოვაციო პროცესები ინტელექტუალური საკუთრების (ის) საკითხებზე იმდენადაა დამოკიდებული, რომ ის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკა ქვეყნის განვითარების ერთერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტად გვევლინება.

პატენტები გამოგონებებზე კომპანიებს კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს გარკვეული დროით. ეს კომპანიების მიერ ახალი, პატენტუნარიანი პროდუქტებისა თუ პროცესების შემუშავების ან შექმნის ძლიერი სტიმულია. ქვეყნის ეკონომიკაში ასეთი პროდუქტებისა და პროცესების წილი და, აგრეთვე, მათი განახლების (ინოვაციის) სიჩქარე განსაზღვრავს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას. ინტელექტუალური საკუთრების უფლებების იურიდიული დაცვის სისტემები უზრუნველყოფენ განახლებაზე ორიენტირებული ეკონომიკის ფუნქციონირებას, იცავენ რა ინოვაციურ კომპანიას მისი პატენტით დადასტურებული ცოდნის სხვების მიერ გამოყენებისგან. მეორე მხრივ, იგივე სისტემები, ზოგადად, აბრკოლებენ ტექნოლოგიების შესახებ ცოდნის თავისუფალ გავრცელებასა და გამოყენებას. *ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა (ისუ) დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის* ამოცანა ამ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციას შორის ისეთი ბალანსის დაცვაა, რომელიც ქვეყანას მაქსიმალურად სწრაფი, მდგრადი და კონკურენტუნარიანობის ზრდის უზრუნველყოფელი განვითარების საშუალებას აძლევს. ბალანსის დაცვა რთულია მრავალი მიზეზის გამო (მათ შორის TRIPS<sup>3</sup> შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებით, რომელმაც ბევრი რამ შეცვალა სამრეწველო

<sup>1</sup> Joseph A. Schumpeter. *Theory of Economic Development: An inquiry into profits, capital, credit, interest and the business cycle*, 1911.]

<sup>2</sup> The Bayh-Dole Act at 25. BayhDole25, Inc., April 17, 2006.

<sup>3</sup> დავით გაბუნია, გიორგი თაქთაქიშვილი. *საერთაშორისო სავაჭრო სამართალი: ბერნის კონვენცია, რომის კონვენცია, TRIPS-ის შეთანხმება. ანალიზი და კომენტარები*. საქპატენტი, თბილისი, 2005, 280 გვ.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ რეჟიმებში). ისუ სფეროში პოლიტიკა დამოკიდებულია ქვეყნის მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ამ მდგომარეობის დროში ცვლილებაზე, ეროვნული სამეცნიერო-ტექნიკური კადრების მომზადების დონეზე, არსებულ განათლების სისტემაზე, პოლიტიკური სისტემის ტიპზე, ქვეყნის საგარეო პოლიტიკასა და გეოგრაფიულ მდებარეობაზე და მრავალ სხვა ფაქტორზე. ევროკავშირი, რომელიც ამჟამად 27 საკმაოდ განსხვავებული სახელმწიფოს ერთობლიობაა, ინტეგრაციის თვალსაზრისით უაღრესად რთული ამოცანის გადაწყვეტის აუცილებლობის წინაშე დგას კიდევ იმიტომ, რომ მასში შემავალი სახელმწიფოები, გარდა ზემოჩამოთვლილი ნიშნებისა, სახელმწიფო ერთ განსხვავდებიან. ენა კი ინტელექტუალური საკუთრების იურიდიული დაცვის საკითხებში მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგანაც დაცვის ობიექტი, ხშირად, ტექსტია.

ზემონათქვამის შესაბამისად, ყოველ წევრ სახელმწიფოს ისტორიულად შექმნილი აქვს ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვის საკუთარი რეჟიმი. მეორე მხრივ, ევროკავშირის ერთიანი შიდა ბაზარი, მიუხედავად საბაჟო ბარიერების ლიკვიდაციისა და ერთიანი ვალუტის შემოღების, დასრულებულად ვერ ჩაითვლება, თუ არ იქნება შემოღებული ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ერთიანი რეჟიმი. ეს გარემოება, ევროკავშირის ცოდნის ეკონომიკის მიმართულებით მიმდინარე ცვლილების გამო, სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ვაჭრობაში ინტელექტუალური საკუთრების ხვედრითი წილი განუწყვეტლივ იზრდება<sup>4</sup>. შესაბამისად, ევროკავშირის ბაზრის დიდმა (და მზარდმა) სეგმენტმა შეიძლება ერთიანი ბაზრის რეჟიმში ვერ იმუშაოს.

საინოვაციო პროცესების გაუმჯობესების თვალსაზრისით ორი მნიშვნელოვანი საკითხია განსახილველი: ა) ინტელექტუალური საკუთრების რეგისტრაციისა და სამართლებლივი დაცვისა და ბ) ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საქმიანობის ხელშეწყობის.

საქართველოში შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებისა და ევროკავშირთან მისი თავსებადობის უზრუნველსაყოფად ისუ სფეროში ევროკავშირის გამოცდილების შესწავლას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს<sup>5</sup>.

---

<sup>4</sup> Kamiyama Sh., Sheehan J., Martinez C. VALUATION AND EXPLOITATION OF INTELLECTUAL PROPERTY. DIRECTORATE FOR SCIENCE, TECHNOLOGY AND INDUSTRY WORKING PAPER, 2006/5, DSTI/DOC(2006)5. ([www.oecd.org](http://www.oecd.org)).

<sup>5</sup> ინტელექტუალური საკუთრების საკითხები სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკაში: პატენტები. გამოკვლევის ანგარიში. ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საქართველოს ფედერაცია, თბილისი, 2009.

## 2. ევროკავშირში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სამართლებრივი სისტემა

ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში ცნობს საერთაშორისო ხელშეკრულებებით<sup>6</sup> აღიარებულ ყველა ტიპის დაცვის ობიექტს: გამოგონებებზე პატენტებს, სამრეწველო ნიმუშებს, სასაქონლო ნიშნებს, ადგილწარმოშობის აღნიშვნებს, საავტორო და მომიჯნავე უფლებებს.

ევროკავშირში ორი უწყებაა ამ ობიექტებთან მუშაობისთვის პასუხისმგებელი: შიდა ბაზარზე ჰარმონიზაციის ოფისი (OHIM)<sup>7</sup>, რომელიც პასუხისმგებელია გაერთიანების სავაჭრო ნიშნებისა და გაერთიანების დიზაინის რეგისტრაციისთვის და ევროპული საპატენტო ოფისი (EPO)<sup>8</sup>, რომელიც გამოგონებებზე პატენტებს გასცემს.

ერთიანი შიდა ბაზრის ცნება (საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება) გულისხმობს ევროკავშირის დონეზე ინტელექტუალური საკუთრების (ის) სტანდარტიზაციას, რაც ის ყველა სახეობის მიმართ ევროკომისიის მნიშვნელოვანი საზრუნავია. წინსვლა სახეობების მიმართულებით არათანაბარია.

ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობა ჰარმონიზებულია საერთაშორისო კონვენციებთან (WIPO<sup>9</sup>, WTO<sup>10</sup>, იხ. აგრეთვე<sup>11</sup> ევროკავშირში ის დაცვის მდგომარეობისა და პრობლემების შესახებ). ამჟამად ევროკომისია მუშაობს ისეთი სისტემის შექმნაზე, რომელიც უფრა იაფი და ეფექტიანი იქნება, ვიდრე არსებული. ჩამოთვლილ საკითხებთან მჭიდროდაა დაკავშირებული მეკობრეობასთან, ფალსიფიკაციასთან და უკანონო ვაჭრობასთან ბრძოლის საკითხები.

---

<sup>6</sup> სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია, მადრიდის შეთანხმება და სხვა. ყველა შეთანხმების სრული ტექსტი ქართულ ენაზე იხილეთ საქპატენტის საიტზე (<http://www.sakpatenti.org.ge/files/>). იხილეთ, აგრეთვე სქოლიო 3 წინა გვერდზე.

<sup>7</sup> OHIM - Office for Harmonisation in the Internal Market (<http://oami.europa.eu>)

<sup>8</sup> EPO - European Patent Office (<http://www.epo.org/>)

<sup>9</sup> WIPO – ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია (<http://www.wipo.int/portal/index.html.en>)

<sup>10</sup> WTO - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ([www.wto.org](http://www.wto.org))

<sup>11</sup> [europa.eu/legislation\\_summaries/internal\\_market/businesses/intellectual\\_property/index\\_en.htm](http://europa.eu/legislation_summaries/internal_market/businesses/intellectual_property/index_en.htm)

### 3. საავტორო და მომიჯნავე უფლებები

ევროკავშირის დონეზე საავტორო და მომიჯნავე უფლებები რეგულირდება ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს 2001 წლის 22 მაისის დირექტივით 2001/29/EC<sup>12</sup> ("საინფორმაციო საზოგადოების დირექტივა"), რომელმაც მხოლოდ ნაწილობრივ შეცვალა მანამდე მიღებული დირექტივები<sup>13</sup>, ძირითადად კი შეეცადა ისინი საინფორმაციო საზოგადოების კონტექსტში მოექცია. დირექტივის მიზანია მიაღწიოს წევრი ქვეყნების კანონმდებლობის შეთანხმებულ ცვლილებას, რათა ახალი ტექნოლოგიების გავრცელებასა და მათ პირობებში ავტორების, შემსრულებლების, მონაცემთა ბაზების მფლობელების უფლებების დაცვას შეუწყოს ხელი. ეს დირექტივა ემსახურება *ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის* 1996 წლის *საავტორო უფლებებზე შეთანხმების*<sup>14</sup> ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნულ კანონმდებლობებში ასახვას. ეროვნული კანონმდებლობა რჩება ყოველ ქვეყანაში დავების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღების მარეგულირებელი. უფრო მეტიც, დირექტივამ ვერ გაითვალისწინა საავტორო უფლებების დაცვის ზოგიერთი ასპექტი, რაც ქვეყნებს გარკვეული გადახრების საშუალებას აძლევს. არსებობს ანალიტიკოსთა აზრი, რომ დირექტივა უფრო უფლებების მფლობელთა ინტერესებს იცავს, ვიდრე მომხმარებელთა ინტერესებს. ასეა თუ ისე, ევროკომისიის დონეზე დებატები საავტორო უფლებების საკითხებზე გრძელდება, რაც აისახა 2008 წელს *მწვანე რვეულის* ფორმით მიღებულ ევროკომისიის კომუნიკაციაში<sup>15</sup>. როგორც *ყველა მწვანე რვეული*, იგი დებატების/კონსულტაციების ორგანიზებასა და ცოდნის გავრცელების შესახებ პროფესიული საზოგადოების აზრის გამოვლენას, წინადადებების შეგროვებას ემსახურება.

---

<sup>12</sup> DIRECTIVE 2001/29/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 22 May 2001 on the harmonisation of certain aspects of copyright and related rights in the information society. Official Journal of the European Communities, 22.6.2001, L 167/10 EN (<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2001:167:0010:0019:EN:PDF>)

<sup>13</sup> Directives 91/250/EEC , 92/100/EEC , 93/83/EEC , 93/98/EEC and 96/9/EC.

<sup>14</sup> WIPO Copiright Treaty 1996 ([http://www.wipo.int/treaties/en/ip/wct/trtdocs\\_wo033.html](http://www.wipo.int/treaties/en/ip/wct/trtdocs_wo033.html))

<sup>15</sup> Copyright in the Knowledge Economy. GREEN PAPER Brussels, 16.7.2008 COM(2008) 466 final (<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2008:0466:FIN:EN:PDF>)

## 4. გამოგონებათა დაცვა ევროკავშირში

### 4.1. ზოგადი მიმოხილვა

მსოფლიოში მზარდი საგამომგონებლო აქტივობა, რაც ცოდნის ეკონომიკისკენ მოძრაობის ერთერთი უმთავრესი განმსაზღვრელი ნიშანია, ევროკავშირში ხელშეწყობისა და კონკურენტების მიმართ მისი მაჩვენებლების ამაღლებას მოითხოვს.

ევროკავშირი ჩამორჩება ძირითად კონკურენტებს აქტივობის ისეთი ფუნდამენტური მაჩვენებლით, როგორცაა პატენტების რიცხვი მილიონ მოსახლეზე წელიწადში – 30 (აშშ – 55, იაპონია – 120)<sup>16</sup>. არსებული მდგომარეობა ევროკავშირში მკვლევართა და ინოვაციის სფეროს მენეჯერთა შეშფოთებას იწვევს.

ევროკავშირის (წარსულში ევროგაერთიანების) საპატენტო სისტემამ წლების განმავლობაში განიცადა მიზანდასახული ცვლილება. თავიდან არსებობდა ინდივიდუალური ეროვნული სისტემების ერთობლიობა. 1977 წელს *ევროპული საპატენტო ორგანიზაცია* (EPOrg - *ესორგ*)<sup>17</sup> დაფუძნდა და *ევროპული პატენტი* იქნა შემოღებული (იხ. ჩანართი 1). *ესორგ* არაა დამოკიდებული ევროგაერთიანებაზე და თავის შემადგენლობაში საწყისად, გარდა იმდროინდელი ევროგაერთიანების სახელმწიფოებისა, *ესკ*-სთან მიერთებულ შვეიცარიას, თურქეთს, ლიხტენშტეინს, საბერძნეთს, სლოვენიასა და ბულგარეთს გულისხმობდა. ამჟამად იგი 36 ქვეყანას აწევრიანებს, მათ შორის ყველა ევროკავშირის წევრს. ამის იურიდიული საფუძველია 1973 წელს მიღებული *ევროპული საპატენტო კონვენცია*<sup>18</sup>. ეს სისტემა დღესაც მოქმედებს, თუმცა წლების განმავლობაში მისი შემდგომი სრულყოფის თაობაზე დისკუსია არ წყდება. ევროკომისიამ 2006 წელს გამართა ფართო კონსულტაციები მომავალი საპატენტო პოლიტიკის საკითხებზე, ხოლო 2007 წელს მიმართა ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს. მიმართვაში ჩამოყალიბებულია პატენტების დაცვის პრობლემები და მათი გადალახვის სამოქმედო მიმართულებები<sup>19</sup>. მთავარი პრობლემა ისაა, რომ პატენტების დაცვა ევროპაში გაცილებით (10-ჯერ) უფრო ძვირია, ვიდრე აშშ-ში და იაპონიაში<sup>20</sup>. გარდა ამისა, ევროპული პატენტი სინამდვილეში რამდენიმე ეროვნული პატენტის კონაა და დავების წარმოქმნისას განხილვა ეროვნულ

<sup>16</sup> COMPENDIUM OF PATENT STATISTICS. OECD, 2008 (<http://www.oecd.org/dataoecd/5/19/37569377.pdf>)

<sup>17</sup> European Patent Organization (EPOrg). (<http://www.epo.org>)

<sup>18</sup> Convention on the Grant of European Patents of 5 October 1973 - European Patent Convention (EPC). კონვენციის ტექსტი (<http://www.epo.org/patents/law/legal-texts/html/epc/2000/e/contents.html>). ამჟამად მოქმედებს კონვენციის მე-13 რედაქცია (2000 წლის)

<sup>19</sup> Enhancing the patent system in Europe. Communication from the Commission to the European Parliament and the Council of 3 April 2007, COM(2007) 165 final - Not published in the Official Journal

<sup>20</sup> B. van Pottelsberghe de la Potterie and D. François. The cost factor in patent systems. *Université Libre de Bruxelles – Solvay Business School – Centre Emile Bernheim*, CEB Working Paper N° 06/002, 2006 (<http://www.solvay.edu/EN/Research/Bernheim/documents/wp06002.pdf>)

სასამართლოებში წარმოებს, რაც დავის საგნის ტრანსსასაზღვრო ხასიათის შემთხვევაში (ეს კი ხშირიდ ხდება) იურიდიულ გაურკვევლობებს იწვევს. ეჭვს არ იწვევს, რომ საჭიროა მარტივი, იაფი და მაღალხარისხიანი საპატენტო სისტემის შემუშავება.

#### 4.2. გაერთიანების პატენტის შემოღების პრობლემები

მიუხედავად იმისა, რომ ევროგაერთიანება ევროკავშირად გარდაიქმნა, ერთიან პატენტს, რომლის შემოღების იდეა ევროკავშირის დროიდან მოდის და ჯერაც განუხორციელებელ სურვილად რჩება, *გაერთიანების პატენტს* (community patent) უწოდებენ. მისი შემოღება, როგორც მიზანი, აღნიშნული იყო ჯერ კიდევ *ლისაბონის სტრატეგიაში 2000* წელს. 2003 წლის 3 მარტს ევროსაბჭომ შეიმუშავა ერთიანი პოლიტიკური მიდგომა გაერთიანების პატენტების შემოღებასთან დაკავშირებით, თუმცა ყველა არსებული უთანხმოების მოგვარება ვერ მოხერხდა<sup>21</sup>.

#### ჩანართი 1

##### **ევროპული საპატენტო სისტემა**

*იურიდიული საფუძველი* - 1973 წელს მიღებული ევროპული საპატენტო კონვენცია.

*მართვის ორგანოები* - ევროპული საპატენტო ორგანიზაცია (EPOrg – ესორგ), რომლის შემადგენლობაშია მისი აღმასრულებელი ორგანო - ევროპული საპატენტო ოფისი (ესო), და საზედამხედველო ორგანო - ადმინისტრაციული საბჭო. ოფისი გასცემს კონვენციით გათვალისწინებულ ევროპულ პატენტს. შტაბ-ბინა იმყოფება მიუნხენში, გერმანია.

*ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სააგენტოები* სისტემის განუყოფელი ნაწილია. მათ შეყავთ მოქმედებაში საკუთარი ქვეყნების ტერიტორიაზე ევროპული საპატენტო ოფისის მიერ გაცემული ევროპული პატენტი, რის შემდეგაც ქვეყნის იურიდიული სისტემები პასუხისმგებელნი ხდებიან პატენტის დაცვაზე. სასამართლო დავებს უფლებების დარღვევის საკითხებზე იმ ქვეყნის სასამართლო იხილავს, რომელშიც საჯარაულო დარღვევას ქონდა ადგილი.

გარდა ამისა, ეროვნული სააგენტოები არეგისტრირებენ ეროვნულ პატენტებს და გასცემენ მათ დამცავ დოკუმენტებს.

ერთიანად ყველა ან რამდენიმე წევრ სახელმწიფოში საპატენტო დაცვის მისაღებად ერთი განაცხადის შეტანაა საკმარისი ევროპულ საპატენტო ოფისში. ესო აწარმოებს ექსპერტიზას და, დადებითი შედეგის შემთხვევაში, გასცემს პატენტს, რომელიც განაცხადში მითითებულ ყველა სახელმწიფომ უნდა დაიცვას (განმცხადებლის მიერ ეროვნულ ენებზე გადათარგმნის

<sup>21</sup> Community Patent - Common political approach of 3 March 2003 // Official Journal EPO. 2003. N 5. P. 218 - 223.

შემდეგ). ამგვარად, არსებობს ერთიანი საპატენტო პროცედურა და პატენტუნარიანობის ერთიანი მცნება.

ამჟამად არსებულ ევროპული საპატენტო სისტემას გააჩნია გარკვეული ნაკლოვანებები. ევროპული პატენტის შემოღების უდავო პროგრესულობის მიუხედავად, იგი მხოლოდ ეროვნული პატენტების “კონის შემაერთებელია”. პატენტი შეიძლება ჩაითვალოს ძალადაკარგულად საფრანგეთში და გაიყოს იტალიაში, შეწყვიტოს მოქმედება ბრიტანეთში და, ამავე დროს, მიიღოს დასტური გერმანიაში. სხვა სიტყვებით, საერთო წარმომავლობის მიუხედავად, ევროპული პატენტი ინდივიდუალურობას იღებს მასში მითითებულ ყველა სახელმწიფოში ცალცალკე. ევროპული საპატენტო სისტემის მომხმარებლები მის შემდეგ ნაკლოვანებებს აწყდებიან:

- ევროპული პატენტის მიღებიდან სამი თვის განმავლობაში განმცხადებელი ვალდებულია გადათარგმნოს საპატენტო დოკუმენტი ყველა წევრი სახელმწიფოს ენაზე, რომელშიც იგი მოითხოვს საპატენტო დაცვას. ვადების დაუცველობის შემთხვევაში განაცხადი შეუტანლად ითვლება. თარგმანის ღირებულება შეადგენს ევროპული პატენტის მიღებისა და მისი ძალაში ყოფნის ხარჯების საშუალოდ 50%. ასეთი ენობრივი რეჟიმი ევროპული საპატენტო სისტემის კონკურენტუნარიანობას ზიანს აყენებს. (მაგალითად, აძვირებს ამერიკულთან შედარებით).

- ევროპული პატენტის მფლობელს უწევს თავისი უფლების დაცვა ცალ-ცალკე ყველა წევრ სახელმწიფოში. სხვადასხვა სახელმწიფოს სასამართლოებს განსხვავებული წარმოდგენა აქვთ იმ პირობების შესახებ, რომლებშიც პატენტის მფლობელს შეუძლია თავისი სარჩელები ერთ საქმეში გააერთიანოს სხვადასხვა სახელმწიფოდან რამოდენიმე მოპასუხესთან დაკავშირებით. ამიტომ პატენტის მფლობელი, რომელსაც სურს ასეთ სიტუაციას თავი აარილოს, ამჯობინებს სარჩელი შეიტანოს ერთდროულად ყველა მითითებულ ქვეყანაში.

- დაცვის მოცულობა, რომელსაც სთავაზობენ პატენტში მითითებულ წევრ სახელმწიფოებში, შეიძლება მერყეობდეს - განსაკუთრებით “ექვივალენტობის პრინციპთან” (doctrine of equivalence) დაკავშირებით, რომლის თანახმად, პატენტის დაცვის მოცულობა საპატენტო ფორმულის პუნქტების სიტყვიერი გამოხატვის ფარგლებს სცილდება, ანუ ფორმულის სიტყვიერი ცვლილებები, რომელნიც პრინციპულ შინაარსობრივ სიახლეს არ გამოხატავენ, ვერ ჩაითვლებიან ახალ გამოგონებად (შინაარსის უპირატესობა სიტყვებთან მიმართებაში). საპატენტო სამართალში ეს პრინციპი ხელს უშლის დაპატენტებული გამოგონების "შემოვლას" შესაძლო კანონდამრღვევების მიერ მისი უმნიშვნელო ცვლილების გზით. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეროვნული სასამართლოები ერთი და იგივე გამოგონების გაფართოებულ ინტერპრეტაციას სხვადასხვაგვარად აკეთებენ.

დაცვის მოცულობის მერყეობა პატენტის მფლობელის, მათი კონკურენტების და მთლიანად საზოგადოების ინტერესებს ვნებს. პირველნი არ არიან დარწმუნებულნი, რომ საპატენტო დაცვა, რომელიც აქვთ ერთ ევროპულ ქვეყანაში, იგივე ზომით უზრუნველყოფილია სხვაში.

მეორეებს არ იციან, შეუძლიათ თუ არა საკუთარი საქონლის რეალიზაცია კანონიერ საფუძველზე ყველა სახელმწიფოში, თუ ეს კანონიერად ცნეს ერთ-ერთ სახელმწიფოში.

*გაერთიანების პატენტს* გააჩნია რიგი დადებითი თვისებებისა. *გაერთიანების პატენტის* შემოღება ითვლება ზემოთაღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრის საშუალებად (და, ამავე დროს, ევროინტეგრაციის ძლიერ საშუალებად):

- *გაერთიანების პატენტი* მიმართულია ერთიანი უფლების დადგენისკენ უფლებათა “კონის” მაგივრად, რომელსაც *ევროპული პატენტი* წარმოადგენს. *გაერთიანების პატენტი* შეიძლება გაცივს, მისი მოქმედების ვადა გაგრძელდეს ან შეწყდეს მხოლოდ მთელ ევროკავშირთან, და არა ცალკეულ წევრ სახელმწიფოსთან მიმართებაში. ეს *გაერთიანების პატენტის* მთავარი იდეაა. ამასთან, ახალი უფლება იარსებებს წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე *ესო-ს* მომქმედ სისტემასთან პარალელურად.

ამის მიღწევა შეიძლება უბრალო და ეფექტური ხერხით: *ევროპულ საპატენტო ორგანიზაციას* უერთდება ევროკავშირი მთლიანად, როგორც ერთი წევრი. ამის შემდეგ *ესო-ს* შეუძლია *ევროპული პატენტის* გაცემა, რომელიც მოქმედებს ერთდროულად მთელი ევროკავშირის ფარგლებში. *გაერთიანების პატენტი* ევროპულს, მისი ეროვნული კომპონენტებით, არ შეცვლის თუ განმცხადებელს სურს მოითხოვოს დაცვა არა მთელ ევროკავშირში, არამედ კონკრეტულ წევრ სახელმწიფოებში. ამასთან, განმცხადებელს არ შეუძლია ორივე ვარიანტის ერთდროულად გამოყენება.

- გამარტივდება არსებული ენობრივი რეჟიმი, რომელიც განსაკუთრებით აძვირებს დაპატენტებას ევროპაში. ამ მიმართულებით იხილება რამდენიმე სქემა, რომელთაგან ყველაზე მარტივი ჩანს განაცხადის *ესო-ს* სამი ოფიციალური ენიდან ერთერთზე შეტანა თანხმლები თარგმანით ორ დანარჩენზე (სხვა ენებზე შემდგომი თარგმანის, რაც ამჟამად წარმოებს, გარეშე).

*გაერთიანების პატენტის* შემოღება გულისხმობს *ევროპული საპატენტო სასამართლოს* დაფუძნებას (Community Patent Court – CPC), რომელიც დავების განხილვის დროს მოხსნის ზემოაღნიშნულ არაცალსახა ინტერპრეტაციებს. ამჟამად იხილება ევროკომისიის მიერ მომზადებული ორი წინადადება. ერთი წინადადება<sup>22</sup> გულისხმობს *ევროპული საპატენტო სასამართლოს* ფუნქციების არსებული *ევროპული სასამართლოსის* (European Court of Justice)<sup>23</sup> მინიჭებას. მეორე წინადადება<sup>24</sup> - სპეციალური *გაერთიანების საპატენტო სასამართლოს*

<sup>22</sup> Proposal for a COUNCIL DECISION conferring jurisdiction on the Court of Justice in disputes relating to the Community patent (presented by the Commission). Brussels, 23.12.2003 COM(2003) 827 final, 2003/0326 (CNS)

<sup>23</sup> European Court of Justice ([http://curia.europa.eu/jcms/jcms/Jo2\\_7024/](http://curia.europa.eu/jcms/jcms/Jo2_7024/)) – მთავარი სასამართლო ევროკავშირის საკითხებში. იგი ევროკავშირის სასამართლოს ([http://curia.europa.eu/jcms/jcms/Jo2\\_6999/](http://curia.europa.eu/jcms/jcms/Jo2_6999/)) ერთი ნაწილია. მეორე ნაწილია *საერთო სასამართლო*: ყოფილი The Court of First Instance, ამჟამად – The General Court ([http://curia.europa.eu/jcms/jcms/Jo2\\_7033/](http://curia.europa.eu/jcms/jcms/Jo2_7033/)).

<sup>24</sup> Proposal for a COUNCIL DECISION establishing the Community Patent Court and concerning appeals before the Court of First Instance (presented by the Commission). Brussels, 23.12.2003 COM(2003) 828 final 2003/0324 (CNS)



დაარსებას *გაერთიანების პატენტებთან* დაკავშირებულ სადავო საკითხებზე აბსოლუტური იურისდიქციის მინიჭებით, ხოლო აპელაციის განხილვის ფუნქციისა - *პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის* მინიჭებით (ამჟამად *საერთო სასამართლო*) (The Court of First Instance – The General Court).

მიუხედავად ამკარა უპირატესობებისა არსებულ საპატენტო სისტემასთან შედარებით, *გაერთიანების პატენტი* დღემდე განუხორციელებელ იდეად რჩება. მისი ძირითადი ასპექტები: იურიდიული სისტემა, ენობრივი რეჟიმი, დაპატენტების ხარჯები, ეროვნული სისტემების როლი, შემოსავლების განაწილება – განხილული იყო ჯერ კიდევ 2003 წელს, ხოლო შემდეგ ყოველ 2 წელიწადში ხელახალი დებატების საგანი ხდებოდა.

ენობრივი რეჟიმი ძნელი გადასალახი დაბრკოლებაა როგორც რეგისტრაციის პროცედურასთან, ასევე ერთიან ევროპულ საპატენტო სასამართლოში საქმისწარმოებასთან მიმართებაში. აქ ხომ მოსამართლეებიც, მოსარჩელებიც, ადვოკატებიცა და მოპასუხებიც სხვადასხვა ქვეყნიდან (ხშირად ერთ საქმეში მრავალი სხვადასხვა ქვეყნიდან) იქნებიან. იმის გათვალისწინებით, რომ განხილვის ობიექტები ტექსტებია (საპატენტო ფორმულები) საჭიროა მრავალენოვანი ძალიან ზუსტი თარგმანი (და ისევ ხარჯები). საპატენტო საქმიანობა ყველა ქვეყანაში სპეციალისტთა საკმაოდ დიდი ჯგუფების შემოსავალს უზრუნველყოფს, რომელიც გარდაუვალად უნდა გადანაწილდეს და სხვა. წინააღმდეგობათა შორის უკანასკნელ როლს არ თამაშობენ წევრი ქვეყნების კულტურულ-ტრადიციული მოტივებიც. ამიტომ წინსვლა გაერთიანების პატენტისკენ ნელია, მაგრამ თანმიმდევრული.

*გაერთიანების პატენტის ესო*-ს სამ ოფიციალურ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) წარმოებაზე უარი თქვეს ესპანეთმა და პორტუგალიამ. *ევროპული საპატენტო სასამართლოს* ლუქსემბურგში დაფუძნებას (რაც ლოგიკურია, რადგანაც იქაა განლაგებული *ევროპული სასამართლო*) შეეწინააღმდეგა გერმანია (უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ამჟამად საპატენტო დავების უმრავლესობა გერმანიაში იხილება). ამიტომ ევროკავშირი საშუალებდო, კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღების გზით მიდის. თარგმანის გათვალისწინებით 2000 წლის 17 ოქტომბერს სამთავრობათაშორისო კონფერენციაზე ლონდონში მიიღეს საშუალებდო შეთანხმება, რომლის თანახმად 2008 წლის 1 მაისიდან *ევროპული პატენტის* თარგმნა არაა საჭირო, თუ იგი გაცემულია იმ სახელმწიფოებში დასაცავად, რომელთა ოფიციალური ენა თანხვედრა ერთ-ერთ *ესო* ოფიციალურ ენას. სხვა სახელმწიფოები, რომლებიც შეუერთდნენ შეთანხმებას, უთითებენ ერთ რომელიმე *ესო* ოფიციალურ ენას, რომელზეც უნდა ითარგმნოს პატენტი მთლიანად, ხოლო მათ ეროვნულ ენაზე ითარგმნება მხოლოდ გამოგონების ფორმულა

(და არა აღწერილობა)<sup>25</sup>. ამ შეთანხმებას შეუერთდნენ დანია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ისლანდია, ლატვია, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მონაკო, ნიდერლანდები, საფრანგეთი, სლოვენია, ქორვატია, შვეიცარია და სხვა (სულ 35 ქვეყანა) – როგორც ევროკავშირის წევრი, ასევე არა წევრი ქვეყნები. თუმცა, თარგმანის მიმართ დაწესებულ შეღავათებში ქვეყნებს შორის განსხვავებები მაინც არსებობს. ამიტომ დაპატენტების დროს ყველა ქვეყნის კანონმდებლობას განმცხადებელი ცალ-ცალკე უნდა გაეცნოს<sup>26</sup>. ესო წევრი ქვეყნის რეზიდენტს შეუძლია საპატენტო განაცხადი შეიტანოს *ესო*-ში თვითონ, შუამავლების გარეშე, თუმცა რეკომენდებულია პატენტმცოდნეებთან კონსულტაცია, ხოლო არარეზიდენტი მოვალეა განაცხადი პატენტრწმუნებულის შუამავლობით შეიტანოს.

კომპრომისული ზომები ვერ იძლევიან იმ სრულ ეფექტს, რომელსაც *გაერთიანების პატენტისგან* ელოდებიან, ამიტომ მისი შემოღება ევროკავშირის პოსტ-ლისაბონის სტრატეგიული განვითარების (2020 წლამდე) დღის წესრიგში დარჩება.

## 5. გაერთიანების (ევროკავშირის) სავაჭრო ნიშანი

*გაერთიანების სავაჭრო ნიშნის* შემოღებისა და დაცვის სფეროში ევროკავშირმა უფრო შორს წასვლა მოახერხა ინტეგრაციის მიმართულებით, ვიდრე გაერთიანების პატენტის შემთხვევაში. განმცხადებელ საწარმოს (ევროგაერთიანების წევრი ან არაწევრი ქვეყნიდან) შეაქვს განაცხადი *შიდა ბაზარზე ჰარმონიზაციის ოფისში* და იღებს მოწმობას, რომელიც მის უფლებებს მთლიანად ევროკავშირში იცავს. შესაძლოა, სავაჭრო ნიშნების სფეროში ევროკავშირის წარმატება აიხსნება დაცვის ობიექტის სიმარტივით, გამოგონებაზე პატენტთან შედარებით. მეორე მიზეზი, შესაძლოა, ისაა, რომ სავაჭრო ნიშანი საქონლისა და მომსახურების უფრო თვალნათლივი განუყოფელი ნაწილია, ვიდრე გამოგონებაზე პატენტი. სავაჭრო ნიშანი ყველა წევრ ქვეყანაზე თუ არ გავრცელდა, საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება – ერთიანი ბაზრის ფუნდამენტური პირობა – ვერ მოხერხდება. მიუხედავად ამისა, 1960-ან წლებში *გაერთიანების სავაჭრო ნიშნის* იდეის წარმოქმნიდან 1993 წელს მის რეალიზაციამდე საკმაო დრო გავიდა.

დაცვის ობიექტია ნებისმიერი გრაფიკული გამოსახულება (ტექსტი, ციფრების კომბინაცია, ასოების კომბინაცია, საქონლისა და შეფუთვის მოყვანილობა), რომელიც გვაძლევს საშუალებას გავარჩიოთ ერთი ორგანიზაციის საქონელი ან მომსახურება სხვა ორგანიზაციების საქონლისა ან მომსახურებისგან.

<sup>25</sup> Agreement on the application of Article 65 of the Convention on the Grant of European Patents. Official Journal EPO, 12/2001, p. 550 (<http://www.epo.org/patents/law/legal-texts/london-agreement.html>)

<sup>26</sup> *ესო*-ს საიტზე ([www.epo.org](http://www.epo.org)) ყველა ქვეყნის კანონმდებლობა თავმოყრილი.

ზემოაღნიშნულ ოპერაციებს არეგულირებს ევროკავშირის საბჭოს (მიღების მომენტში ევროგაერთიანების საბჭოს) მიერ 1993 წელს მიღებული კანონი<sup>27</sup> და მისი შემდგომი შესწორებები. იგი ადგენს სავაჭრო ნიშნების რეგისტრაციის წესებს, დაცვის პერიოდს (10 წელი) და მისი გაგრძელების წესს, სარგებლობის უფლებების გადაცემის წესს (ლიცენზირების შემთხვევაში, ორგანიზაციის მფლობელების შეცვლის შემთხვევაში), დავების განხილვის წესს, *კოლექტიური სავაჭრო ნიშნების*<sup>28</sup> გამოყენების წესებსა და სხვა. შემოღებულია *გაერთიანების სავაჭრო ნიშნის სასამართლოები* (პირველი და მეორე ინსტანციის), რომლებიც ყველა ქვეყანაში მოქმედებენ. ამასთან ერთად, სავაჭრო ნიშნების ეროვნული სისტემები აგრძელებენ საქმიანობას. იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციას მთელ ევროკავშირში ან მრავალ ქვეყანაში სურს საკუთარი სავაჭრო ნიშნის დაცვა, გაცილებით იაფი უფლება *გაერთიანების სავაჭრო ნიშნის* დარეგისტრირება, ხოლო თუ მხოლოდ 2-3 ქვეყნის მიმართ გააჩნია ინტერესი, შეიძლება ამ ქვეყნებში ეროვნული რეგისტრაცია არჩიოს.

## 6. ევროკავშირის (გაერთიანების) სამრეწველო დიზაინი

2001 წელს ევროკავშირის საბჭომ შემოიღო *გაერთიანების დიზაინის* უფლება, რომელიც უზრუნველყოფს *სამრეწველო დიზაინის* დაცვას ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე<sup>29</sup>. ამ აქტის მიზანი იყო ევროკავშირის დონეზე დაცვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ეროვნულ კანონმდებლობებში არსებული განსხვავებების შედეგად წარმოქმნილ სამართლებრივ გაურკვევლობებს ზღვარს დაუდებდა. *გაერთიანების დიზაინის* რეგისტრაცია ხორციელდება *შიდა ბაზარზე ჰარმონიზაციის ოფისში* ან ცენტრალურ ეროვნულ ოფისში, რომელიც მოვალეა გადაუგზავნოს განმცხადებლის დოკუმენტაცია *შიდა ბაზარზე ჰარმონიზაციის ოფისს* ევროპულ *გაერთიანების დიზაინის რეგისტრში* შესატანად. ამ უფლებას გააჩნია ორი ფორმა: *რეგისტრირებული დიზაინისა*, რომელიც 2002 წელს შევიდა ძალაში, და *დაურეგისტრირებელი დიზაინის*, რომელიც 2003 წელს შევიდა ძალაში. რეგისტრირებული დიზაინის დაცვის ხანგრძლივობა 25 წლამდეა (დაცვისთვის აუცილებელი მოსაკრებლის პერიოდული გადახდის შემთხვევაში), ხოლო დაურეგისტრირებელის – 3 წელი იმ თარიღიდან, როდესაც ევროკავშირის ფარგლებში დიზაინი ნაჩვენებია იყო საზოგადოებისთვის (მაგალითად, გამოფენაზე). დიზაინის ქვეშ იგულისხმება პროდუქტის მთლიანად ან მისი ნაწილის გარე ხედის თავისებურებები, წარმოქმნილი თვით პროდუქტის ან მისი გაფორმების ხაზებით, ფერებით, ფორმებით, ზედაპირისა ან მასალის თვისებებით. რეგისტრაციისთვის

<sup>27</sup> Council Regulation (EC) No 40/94 of 20 December 1993 on the Community trade mark.

<sup>28</sup> სავაჭრო ნიშნები, რომელიც ბიზნეს-ასოციაციებს ეკუთვნის და რომლითაც მხოლოდ ასოციაციის წევრები სარგებლობენ.

<sup>29</sup> Council Regulation (EC) No 6/2002 of 12 December 2001 on Community designs.

აუცილებელი პირობაა დიზაინის სიახლე. კანონი არეგულირებს უფლების გასხვისებისა და გადაცემის სხვადასხვა ფორმებს.

ისევე, როგორც სავაჭრო ნიშნის შემთხვევაში, სამრეწველო დიზაინის ეროვნული სისტემები მოქმედებენ გაერთიანების დიზაინის სიტემის პარალელურად. მომხმარებელი ირჩევს – დაარეგისტრიროს დიზაინი რამდენიმე ქვეყანაში ცალ-ცალკე, თუ მოიპოვოს გაერთიანების დიზაინის უფლებები. იმ შემთხვევაში, თუ უფლებების დაცვა მრავალ ქვეყანაშია აუცილებელი, გაერთიანების დიზაინის უფლება დიდ ფინანსურ და დროის დაზოგვას იძლევა. ისევე, როგორც სავაჭრო ნიშნის შემთხვევაში, დავების გადასაწყვეტად შემოღებულია პირველი და მეორე ინსტანციის *გაერთიანების დიზაინის სასამართლოები*, რომლებიც ყველა ქვეყანაში მოქმედებენ.

ზემოაღნიშნული ღირებულება მრავალწლიანი ევოლუციის შედეგია. 1993 წლამდე შიდა ბაზარზე ინოვაციისა და კონკურენციის გასაუმჯობესებლად ევროგაერთიანების საზრუნავი სამრეწველო დიზაინის სფეროში წვერი ქვეყნების კანონმდებლობათა ჰარმონიზაცია იყო, რისთვისაც ევრპარლამენტმა და ევროსაბჭომ ღირებულება მიიღეს<sup>30</sup>. ამან, 7 წლის შემდეგ, *გაერთიანების დიზაინის* შემოღება გახადა შესაძლებელი. ევროინტეგრაციის პროცესი ასეთი თანმიმდევრული ნაბიჯებით მიმდინარეობს, თუმცა ზოგჯერ ეს ნაბიჯები სასურველზე უფრო ნელია.

## 7. ფალსიფიცირებული საქონელი და მეკობრეობა

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხები მჭიდროდაა დაკავშირებული საქონლის ფალსიფიკაციისა და მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლასთან, რომლის ორგანიზების თაობაზე 2008 წელს ევროკავშირის საბჭომ დაამტკიცა გეგმა<sup>31</sup>. მისი დანიშნულებაა უზრუნველყოს ევროკომისიისა და წვერი სახელმწიფოების კოორდინირებული მუშაობა როგორც ინტელექტუალური საკუთრების დაცვის რეჟიმის განმტკიცების, ასევე, უფრო ფართოდ, საბაჟო ზომების, კანონმდებლობის სრულყოფის, მრეწველობის სექტორებს შორის თანამშრომლობის და ა. შ. გზით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობას ამ მიმართულებებით, სამეზობლო პოლიტიკის მექანიზმების გამოყენების ჩათვლით<sup>32</sup>.

<sup>30</sup> Directive 98/71/EC of the European Parliament and of the Council of 13 October 1998 on the legal protection of designs [Official Journal L 289 of 28.10.1998].

<sup>31</sup> European anti-counterfeiting and anti-piracy plan. Council Resolution of 25 September 2008, Official Journal C 253 of 4.10.2008 ([http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32008G1004\(01\):EN:NOT](http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32008G1004(01):EN:NOT))

<sup>32</sup> ასეთი ზომები საქართველოსთან სამეზობლო პროგრამის ჩარჩოებშიცაა დაგეგმილი. რამდენიმე სემინარი უკვე ჩატარდა *საქსატენტისა* და GEPLAC-ს ბაზაზე.

## 8. ევროკავშირში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სტრატეგიული განვითარება

საერთო ხედვა და გასატარებელი ღონისძიებები ჩამოყალიბებულია ევროკომისიის 2008 წლის კომუნიკაციაში "სამრეწველო საკუთრების უფლებათა სტრატეგია ევროპაში"<sup>33</sup>. სტრატეგიის მიზანია ევროპის საინოვაციო პოტენციალის სრული გამოყენება *ისუ* რეჟიმის გაუმჯობესების გზით. სტრატეგიით გათვალისწინებული მიმართულებებისა და ღონისძიებების ნაწილი ზემოთ უკვე განვიხილეთ. *გაერთიანების პატენტი* და ერთიანი იურიდიული სისტემა სტრატეგიის საკვანძო ელემენტებად რჩებიან. მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს ქვეყნების, კომპანიების (განსაკუთრებით *მსს*), კვლევითი ორგანიზაციებისა და გამომგონებლების დონეზე იმ ფაქტის გაცნობიერებას, რომ ინტელექტუალური საკუთრება ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაში გახდა ისეთივე და, სშირად უფრო ღირებული აქტივი, როგორც ფინანსები, მანქანა-მოწყობილობები და სხვა ტრადიციული აქტივები. ამ აქტივების შექმნა, დაცვა, გადაცემა, შეფასება და სხვა ოპერაციები განსაკუთრებულ ცოდნას მოითხოვს<sup>34</sup>. სტრატეგიის ერთერთი მიზანი ამ ცოდნის დეფიციტის შევსებაა.

ევროკავშირისა და წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა *ისუ* სფეროში ძირითადად ჰარმონიზებულია ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO), ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, როგორცაა: *სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენცია*; *ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენცია*; *შემსრულებლების, ფონოგრამების დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ რომის კონვენცია*; *ინტელექტუალური სექტორის შესახებ ვაშინგტონის შეთანხმება*; *შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS)* და სხვა. ევროკავშირი, როგორც ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სრულიად ახალი ტექნოლოგიების (გენური ინჟინერიის, ნანოტექნოლოგიისა და სხვა) გენერატორი, ითანამშრომლებს წევრ და არაწევრ სახელმწიფოებთან ამ ხელშეკრულებების განვითარების სფეროში<sup>35,36</sup>.

<sup>33</sup> An Industrial Property Rights Strategy for Europe. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL AND THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE. Brussels, 16.7.2008, COM(2008) 465 final

<sup>34</sup> Turning Science into Business: PATENTING AND LICENSING AT PUBLIC RESEARCH ORGANISATIONS. OECD, 2003, 308 p.

<sup>35</sup> Development and implications of patent law in the field of biotechnology and genetic engineering. REPORT FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL AND THE EUROPEAN PARLIAMENT. COMMISSION OF THE EUROPEAN COMMUNITIES, Brussels, 14.07.2005 COM(2005) 312 final (SEC(2005) 943)

## 9. საჯარო სახსრების გამოყენებით შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების განკარგვა და გამოყენება

### 9.1. საერთო მიმოხილვა

ახლო წარსულში უნივერსიტეტები, ტრადიციულად, ცოდნის გენერაციისა და მისი თავისუფალი გავრცელების ფუნქციას ასრულებდნენ. მე-20 საუკუნეში, თანდათან, უნივერსიტეტებმა, ისევე როგორც სახელმწიფო (საჯარო) კვლევითმა ორგანიზაციებმა, ისეთი ცოდნის გენერაციაც დაიწყეს, რომელსაც კომერციული ღირებულება გააჩნია. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში უნივერსიტეტებსა და საჯარო კვლევით ორგანიზაციებში მიმდინარე საზოგადოებრივი სახსრებით დაფინანსებული კვლევითი სამუშაოების მოცულობა იმდენად დიდი გახდა, ხოლო შედეგების რაც შეიძლება სწრაფი პრაქტიკული ათვისების (საზოგადოების სამსახურში ჩაყენების) მოთხოვნის იმდენად გაიზარდა, რომ სპეციალური მექანიზმების შემუშავების აუცილებლობა წარმოიქმნა.

წამოიჭრა ამ საჯარო დაფინანსებით მიღებული ცოდნის მფლობელობის, განკარგვისა და გამოყენების საკითხი და, აგრეთვე, ტექნოლოგიის ათვისების პროცესში საჯარო და კერძო, მოგებაზე ორიენტირებული, ორგანიზაციების ურთიერთქმედების საკითხი. ამას დაემატა საჯარო ორგანიზაციების თანამშრომელთა მოტივაციის საკითხები. უნივერსიტეტებში „სამეწარმეო“ ფუნქციები გაჩნდა. დაისვა ამ ბუნებრივად წარმოქმნილი უზარმაზარი საინოვაციო პოტენციალის უკეთ გამოყენების ამოცანა. 1980 წელს აშშ-ში *ბეი-დოლის კანონის*<sup>37</sup> და *ემო-ს TRIPS* შეთანხმების მიღებამ ამ პროცესს დამატებითი ბიძგი მისცა. ამასთან დაკავშირებით, პრაქტიკულად ყველა განვითარებულმა, განვითარებადმა და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანამ, მეტ-ნაკლები წარმატებით, სცადა ახლებურად, საკანონმდებლო დონეზე (სადაც კი ეს შესაძლებელი იყო), გადაეწყვიტა ეს საკითხები. ნახ. 1-დან ჩანს, რომ ღონისძიებათა ნაწილი მხოლოდ უნივერსიტეტებს ეხება, ზოგი კი მცირე, საშუალო და დიდ საწარმოებსაც. დანართში მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია ღონისძიებათა რა შენაკრებს ატარებს ესა თუ ის ქვეყანა. ხაზი გავუსვამთ, რომ, ჩვეულებრივ, ერთ ჯგუფად იხილება ყველა არამომგებიანი ორგანიზაცია, იქნება ეს კერძო თუ საჯარო სამართლის სუბიექტი, მაგრამ სიმოკლისთვის ხშირად მხოლოდ „უნივერსიტეტს“ მოიხსენიებენ.

<sup>36</sup> IPR in nanotechnology: Lessons from experiences worldwide. International workshop, European Patent Office (EPO) and DG Research of the European Commission, 16 April 2007, Brussels. (<http://cordis.europa.eu/nanotechnology/src/iprworkshop.htm>).

<sup>37</sup> The Bayh-Dole Act at 25. BayhDole25, Inc., April 17, 2006, pp. 44.

([http://www.bayhdole25.org/sites/bayhdole25.org/files/BayhDole25\\_WhitePaper\\_20060417.pdf](http://www.bayhdole25.org/sites/bayhdole25.org/files/BayhDole25_WhitePaper_20060417.pdf))

The US Bayh-Dole Act. (Public Law 96-517, The Patent and Trademark Law Amendments Act enacted 1980 and amended in 1984)

შენიშვნა: დაფერილი უჯრედები ორგანიზაციათა ტიპების მიმართ ღონისძიების გამოყენებას აღნიშნავს)

ნახ. 1. პატენტების გამოყენების გაუმჯობესების მიმართულებები და ღონისძიებები

| მიზანი   | ღონისძიებები   | უნივერსიტეტები და საჯარო კვლევითი ორგანიზაციები | მცირე და საშუალო საწარმოები | სხვა |
|--|--|---|-----------------------------|------|
| ისუ კუთვნილების დადგენა                              | საჯარო (საზოგადოებრივი) კვლევითი ორგანიზაციების კვლევით და კომერციულ ფუნქციებს შორის ბალანსის დადგენა.   |   |                             |      |
|  | ბეი-დოლის (Bayh-Dole) კანონის ნაირსახეობის მიღება  |   |                             |      |
|  | უნივერსიტეტებში „პროფესორის პრივილეჯიის“ გაუქმება  |   |                             |      |
| ისუ მოპოვებისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობა        | დაპატენტების ხარჯების შემცირება და ანაზღაურება   |   |                             |      |
|  | ტექნოლოგიის გადაცემის და საპატენტო ოფისების შექმნაში საფინანსო დახმარება, ან პატენტების გამოყენების რეგიონული ცენტრების შექმნა                   |   |                             |      |
|  | ის ბაზაზე ახალი კომპანიების დაფუძნების ხელშეწყობა  |   |                             |      |
|  | საგადასახადო შეღავათები  |   |                             |      |
|  | იძულებითი ლიცენზირების გამოყენება ჯანდაცვის და სხვა საზოგადოებრივ ინტერესებში  |   |                             |      |
|  | „მოწინავე გამოცდილების კოდექსების“, „ეროვნული ინტელექტუალური საკუთრების პოლიტიკის სახელმძღვანელოების“ და ანალოგიური მეთოდური მასალების მომზადება |   |                             |      |
|  |  |   |                             |      |
| ისუ სფეროში კანონების მეშვეობით კვლევების წახალისება | ლიცენზირებისას საზოგადოებრივი ინტერესის დაცვა – პატენტის შემდგომი კვლევებისთვის გამოყენება   |   |                             |      |
|  | გათავისუფლება ხარჯებისგან იმ პატენტებზე, რომელსაც კვლევაში იყენებენ (research exemption)   |   |                             |      |
|  | გამომგონებლისთვის შეღავათიანი პერიოდის მინიჭება გამოგონების პუბლიკაციის შემდგომი დაპატენტებისთვის (grace period)                                 |   |                             |      |
|  | წინასწარი განაცხადი: ერთწლიანი შესაძლებლობა შემდგომი დაპატენტებისთვის (provisional patenting)  |   |                             |      |

საკვანძო საკითხია: ვინაა საჯარო დაფინანსებით მიღებული ისუ მფლობელი და განმკარგველი? ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა (ზოგიერთ შემთხვევაში რეგიონებმაც<sup>38</sup>) იგი ინდივიდუალურად გადაწყვიტეს როგორც საკანონმდებლო, ასევე კანონქვემდებარე/სარეკომენდაციო დოკუმენტების მიღებით. ევროკავშირის დონეზე ამ თვალსაზრისით რეგულაციები ან დირექტივები მიღებული არ ყოფილა, რაც იმის მაჩვენებელია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ევროკავშირში საინოვაციო პროცესებისთვის წვერი ქვეყნების დონეზე გატარებული ღონისძიებები.

ამ ქვეთავში ჩვენ ვეყრდნობით ინფორმაციისა და დოკუმენტაციის საქართველოს ფედერაციის ანგარიშს "ინტელექტუალური საკუთრების საკითხები სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკაში: პატენტები", 2009 წელი, რომელშიც ღონისძიებების გაცილებით უფრო ფართო სპექტრი შეიძლება ინახოს.

## **9.2. საჯარო (საზოგადოებრივი) კვლევითი ორგანიზაციების კვლევით და კომერციულ ფუნქციებს შორის ბალანსის დადგენა**

აშშ-ში შეშფოთებას იწვევდა საჯარო კვლევითი დაწესებულებების მიერ კვლევის შედეგების დაპატენტების სიმცირე და, ასევე, პრაქტიკული გამოყენების დაბალი დონე. 1980 წელს აშშ-ში მიღებულმა ბეი-დოლის (*Bayh-Dole*) კანონმა სიცხადე შეიტანა აშშ-ში საჯარო (სახელმწიფო) სახსრებით შექმნილი ინტელექტუალური საკუთრებაზე უფლებების საკითხში. კანონის მიღებამდე ითვლებოდა, რომ ინტელექტუალური პროდუქტის მფლობელი სახელმწიფოა, სათანადო დამფინანსებელი სააგენტოს სახით. ბეი-დოლის კანონი აძლევს უფლებას აშშ უნივერსიტეტებს, საჯარო კვლევით და არასამთავრობო ორგანიზაციებს (არამომგებიან ორგანიზაციებს), მცირე და დამწყებ ფირმებს საკუთარ სახელზე დააპატენტონ საზოგადოებრივი სახსრების გამოყენებით მიღებული გამოგონებები (იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საზოგადოებრივი ფონდებიდან დაფინანსების მხოლოდ ნაწილია უზრუნველყოფილი), ამასთან, კომერციალიზაციის შემთხვევაში გაუნაწილონ როიალთი ავტორ-თანამშრომლებს. ბეი-დოლის კანონი აღიარებს სახელმწიფოს, როგორც პატენტმფლობელის, არაეფექტურობას. ამავე დროს იგი გულისხმობს, რომ უნივერსიტეტს, როგორც დაინტერესებულ პატენტმფლობელს, გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია კომერციალიზაციის მიმართულებით, ვიდრე კერძო პირს (გამომგონებელს).

ევროკავშირის მასშტაბით ბეი-დოლის მსგავსი კანონის (რეგულაციის ან დირექტივის სახით) მიღების მიზანშეწონილობის განხილვამ აჩვენა, რომ ევროკავშირში სპეციალისტები ამის აუცილებლობას ვერ ხედავენ<sup>39</sup>. ზოგიერთი გამოკვლევა ამტკიცებს, რომ ბეი-დოლის

<sup>38</sup> რეგიონების ქვეშ იგულისხმება ქვეყნის ნაწილები. მხედველობაში გვაქვს რეგიონებში საკითხების ისეთი გადაწყვეტა, რომელიც განსხვავდება ქვეყნის ცენტრალური მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისგან.

<sup>39</sup> DRAFT Report on the outcomes of the: "Public consultation on transnational research cooperation and knowledge transfer between public research organisations and industry". EUROPEAN COMMISSION, RESEARCH DIRECTORATE-GENERAL, Directorate M - Investment in



კანონის (თვითონ აშშ-ში) და მისი ევროპული ანალოგების დადებითი ეფექტი ამოწურულია<sup>40</sup>. ასეა თუ ისე, წმინდა ტექნიკურად ევროკავშირისთვის ბეი-დოლის მსგავსი რეგულაციის ან დირექტივის მიღება ძნელია, საპატენტო სფეროში ევროკავშირის არაერთგვაროვნების გამო (ამაზე ქვემოთ იქნება საუბარი).

ზოგიერთმა ქვეყანამ (ავსტრია, ესპანეთი, ირლანდია, ნორვეგია, ფინეთი, - იხ. ცხრილი დანართში), თუმცა არ მიიღო ბეი-დოლის კანონში ჩადებულ იდეათა მთლიანი სპექტრის შემცველი კანონები, გადაჭრა ერთი – პატენტის მესაკუთრეობის – საკითხი. კერძოდ, ამ ქვეყნებმა დაქირავებულთა და დამქირავებელთა უფლებების შესახებ კანონმდებლობაში შეიტანეს ცვლილებები, რომელთა თანახმადაც გაუქმდა ტრადიციული თანამშრომლის მესაკუთრეობა გამოგონებაზე (სხვა სამეცნიერო პუბლიკაციებთან ანალოგიით), ანუ ე. წ. „**პროფესორის პრივილეგია**“, რითაც ისუ მფლობელობა ორგანიზაციებს გადაეცა, ხოლო გამოგონებლებისთვის, ისუ-ს კომერციული გამოყენების შემთხვევაში, გათვალისწინებულ იქნა გასამრჯელო (როიალტი)<sup>41</sup>. ქვეყნების უმრავლესობაში მისი განაწილების სქემებს ორგანიზაციები/უნივერსიტეტები თვითონ ადგენენ (ჩვეულებრივ მიღებული შემოსავლის 30 – 50% გადაეცემა ავტორებს), მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში ავტორებისთვის როიალტის დონეს ადგენს კანონი. წარმატებულ ორგანიზაციებში წილი ზედა ზღვარს უახლოვდება. ზოგიერთ ქვეყანაში კანონმა დაადგინა, რომ ისუ დამქირავებელს ეკუთვნის, თუ დაქირავების კონტრაქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. არის ისეთი ქვეყნებიც, სადაც, კანონის თანახმად, ამ საკითხს ორგანიზაციების წესდებები ან შესაბამისი უწყებები არეგულირებენ. მაგალითად, ესტონეთში უნივერსიტეტში წარმოქმნილ ის უფლებებს ყველა უნივერსიტეტი თავისებურად წყვეტავს. ბელგიაში, სადაც ბეი-დოლის კანონის ნაირსახეობა მოქმედებს, ფედერალური სამინისტროს დადგენილება კვლევის შედეგების მფლობელობას საჯარო კვლევით ორგანიზაციას ანიჭებს, თუკი კვლევის დაფინანსებაში საზოგადოებრივი სახსრების წილი 80% აღემატება, ხოლო მისი პროვინციის, ფლანდრიის, კანონი ამბობს, რომ საზოგადოებრივი ფონდების მონაწილეობით მიღებული ყველა გამოგონება უნივერსიტეტს ეკუთვნის<sup>42</sup>. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, საფრანგეთში) კანონი მკაფიოდ არ ადგენს, თუ ვინაა საჯარო სახსრებით მიღებული გამოგონების მფლობელი, ხოლო ზოგიერთში (მაგალითად, შვედეთი) ისუ მფლობელებად კანონმა კვლავ კერძო პირები (უნივერსიტეტის თანამშრომლები) მიიჩნია.

---

Research and links with other policies, political aspects, private investment, relations with EIB. Brussels, 1 September 2006, M1/FM-DD D(2006). ([http://ec.europa.eu/invest-in-research/pdf/download\\_en/consult\\_report.pdf](http://ec.europa.eu/invest-in-research/pdf/download_en/consult_report.pdf))

<sup>40</sup> Leydesdorff, Loet & Meyer, Martin. The Decline of University Patenting and the End of the Bayh-Dole Effect. *Scientometrics*, (2010) forthcoming.

<sup>41</sup> Knowledge sharing in the European Research Area. Report of the ERA Expert Group, European Commission, Directorate-General for Research, 2008. EUR 23323 EN .

<sup>42</sup> P. VAN EECKE, J. KELLY, P. BOLGER and M. TRUYENS. Monitoring and analysis of technology transfer and intellectual property regimes and their use. National summaries. Results of a study carried out on behalf of the European Commission (DG Research), 2009, pp.247. ([http://www.eutechnologytransfer.eu/files3/national\\_summaries.pdf](http://www.eutechnologytransfer.eu/files3/national_summaries.pdf))

განსხვავებები ართულეს სხვადასხვა ქვეყნის ორგანიზაციათა კოოპერაციით (მაგალითად, FP7 ფარგლებში) ჩატარებული კვლევებით მიღებული ისუ განაწილებას. ევროინტეგრაციის თვალსაზრისით ეს უარყოფითი ფაქტორია.

### 9.3. უნივერსიტეტებისთვის დაპატენტების ხარჯების შემცირება

მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ეროვნული საპატენტო სააგენტო არეგისტრირებს პატენტებს უფასოდ (დიდი ბრიტანეთი, იტალია). უმრავლესობას დაწესებული აქვს მოსაკრებლები. მცირე და საშუალო საწარმოებისთვის და არამომგებიანი ორგანიზაციებისთვის, რომელთა რიცხვს უნივერსიტეტები და საჯარო კვლევითი ორგანიზაციებიც მიეკუთვნებიან, მრავალ ქვეყანაში კანონით დაწესებულია მოსაკრებლების შემსუბუქება (ხშირად, განახევრება). ამას მრავალი ეროვნული საპატენტო ოფისი ახორციელებს.

როგორც წესი, მოსაკრებლები დაპატენტებასთან დაკავშირებული ხარჯების მთავარი ნაწილი არაა. გაცილებით დიდია ხარჯები კონსულტანტებზე და პატენტრწმუნებულებზე, რომელთა მომსახურება მოიცავს განაცხადის/აღწერილობის კვალიფიციურად შედგენას, თარგმანს, პატენტის საბაზრო ღირებულების პერიოდულ შეფასებას და სხვა. განსაკუთრებით დიდია ხარჯები საერთაშორისო დაპატენტების შემთხვევაში. პატენტის მსოფლიო მასშტაბით ხარისხიანი დაცვის ხარჯებმა შეიძლება ასობით ათასი აშშ დოლარი შეადგინონ.

მრავალ ევროპულ ქვეყანაში საჯარო ორგანიზაციებისთვის სახელმწიფო დახმარება შეიძლება ეხებოდეს ამ ხარჯების სპეციალური ფონდებიდან შემსუბუქებასაც (თუმცა ეს აღარაა კანონით განსაზღვრული ისუ რეჟიმის საკითხი)<sup>43</sup>. ასეთი პრაქტიკა არსებობს, მაგალითისთვის, საფრანგეთში (CNRS, <http://www.france-science.org/innovation>), უნგრეთში (RTIF, [www.nkth.gov.hu](http://www.nkth.gov.hu)), რეგიონ *ემილია რომანიაში* (იტალია) (პროგრამა SPINNER, [www.eurofound.europa.eu/areas](http://www.eurofound.europa.eu/areas)) და სხვა. ჩვეულებრივ, ევროკავშირის ქვეყნებში დახმარება საზოგადოებრივი ფონდებიდან დაპატენტების ხარჯების ნაწილობრივი ან სრული დაფარვის სახით, შეიძლება მიიღონ როგორც უნივერსიტეტებმა და საჯარო კვლევითმა ორგანიზაციებმა, ასევე მცირე და საშუალო საწარმოებმა.

მივაქციოთ ყურადღება, რომ ყველა ღონისძიება წვერი ქვეყნების ან რეგიონების ღონეზე ხორციელდება. საერთოევროპული ღონისძიებები ან ნორმატიული აქტები ამ სფეროში არ არსებობს.

### 9.4. ახალი კომპანიების დაფუძნების ხელშეწყობა (spin-off)

ევროკავშირში, ისევე, როგორც ამერიკაში და აზიაში, გამოგონებების კომერციალიზაციის ერთ-ერთი ეფექტიანი ფორმა გამოგონებებზე დაფუძნებული ახალი კომპანიების შექმნაა. ეროვნული კანონმდებლობა უფლებას აძლევს უნივერსიტეტებსა და საჯარო კვლევით ორგანიზაციებს ხელი შეუწყონ საკუთარ გამოგონებელ-თანამშრომლებს მათი პატენტის

<sup>43</sup> Singh, Guriqbal Jaiya and Kalanje, Christopher M. Managing Patent Costs: An Overview. WIPO, [www.wipo.int/sme/en/documents/pdf/managing\\_patent\\_costs.pdf](http://www.wipo.int/sme/en/documents/pdf/managing_patent_costs.pdf)

ბაზარზე გაყვანის მიზნით დააფუძნონ ახალი კომპანიები (campus company) ასეთ კომპანიას, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს სათანადო ინკუბატორში ან მის გარეთ, უნივერსიტეტი ან საჯარო კვლევითი ორგანიზაცია გადასცემს ექსკლუზიურ ლიცენზიებს, ხშირად მომავალ დივიდენდებში მონაწილეობის (წილის) სანაცვლოდ. არსებობს ახალი კომპანიების დაფუძნების ოდნავ განსხვავებული სქემებიც. მაგალითად, შესაძლოა ახალმა კომპანიამ მხოლოდ ლიცენზია მიიღოს, თანამშრომლების გადასვლის გარეშე. ყოველწლიურად აღრიცხავს ასეთ კომპანიებს დანია<sup>44</sup>. *სპინ-ოფების* მხარდამჭერი ეროვნული პროგრამები არსებობს ირლანდიაში (CORD, <http://www.enterprise-ireland.com/Grow/Finance/CORDEnterprisePlatformProgramme.htm>), გერმანიაში (EXIST, [www.exist.de](http://www.exist.de)).

### 9.5. ისუ რეჟიმის ფარგლებში კვლევის განვითარების ინტერესების გათვალისწინება

არსებობს გარკვეული წინააღმდეგობა დაპატენტებასა და ცოდნის თავისუფალ გავრცელებას შორის, რომლისთვისაც უნივერსიტეტები დღესაც არიან პასუხისმგებლები. მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო, საინოვაციო და საპატენტო პოლიტიკის ისე დაბალანსება, რომ ერთდროულად წახალისებული იყოს როგორც საინოვაციო საქმიანობაში ინვესტიციები, ასევე ტექნოლოგიების სწრაფი გავრცელება. პირველადმოძრებისთვის, საპატენტო სამართლის შესაბამისად, მინიჭებული მონოპოლია ხელს არ უნდა უშლიდეს გამოგონებებში „ჩაქსოვილი“ ცოდნის გადმოფრქვევას (spill-over) და გავრცელებას იმ უმნიშვნელო დოზებით, რომელიც ინვესტორებს მუშაობის ხალისს არ დაუკარგავს.

ამასთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრ ქვეყანათა საპატენტო კანონმდებლობით დაშვებულია ქვეყანაში დაპატენტებული გამოგონებების გამოყენება კვლევითი და ექსპერიმენტული მიზნებისთვის (ანუ არაკომერციული გამოყენება) პატენტმფლობელის ნებართვისა და მისთვის რაიმე ანაზღაურების გარეშე, ე. წ. *კვლევითი გამონაკლისი*<sup>45</sup>. იგი ვრცელდება ყველა ტიპის ორგანიზაციაზე (მათ შორის კერძოზე), რომელიც კვლევას აწარმოებს, ხოლო უნივერსიტეტებისა და საჯარო კვლევითი ორგანიზაციებისთვის იგი განსკუთრებით მნიშვნელოვანია. ეროვნული კანონმდებლობების ეს დებულება გამყარებულია, აგრეთვე, საერთაშორისო ევროპული საპატენტო კონვენციით, ევროგაერთიანების საპატენტო კონვენციით, საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულებითა (PCT) და TRIPs-ის შეთანხმებით. უნივერსიტეტებში ბოლო წლებში საპატენტო სფეროში სამეწარმეო აქტივობის განვითარება „კვლევითი გამონაკლისის“ ცნების მიმართ ინტერესის ზრდას იწვევს<sup>46</sup>.

<sup>44</sup> Public Research Commercialisation Survey: Denmark 2008. Series: *Innovation: Analysis and Evaluations*, 13/2009. Danish Agency for Science, Technology and Innovation. pp. 34.

(<http://en.fi.dk/publications/2009/public-research-commercialisation-survey-denmark-2008/Kommercialisering-UK-2008.pdf>)

<sup>45</sup> DENT, Chris, JENSEN, Paul, WALLER, Sophie and WEBSTER, Beth. Research Use of Patented Knowledge: A Review. STI Working Paper. Intellectual Property Rights. DIRECTORATE FOR SCIENCE, TECHNOLOGY AND INDUSTRY, OECD, 17-Mar-2006, pp. 53. DSTI/DOC(2006)2. (<http://www.oecd.org/dataoecd/15/16/36311146.pdf>)

<sup>46</sup> Iles, Kevin. A COMPARATIVE ANALYSIS OF THE IMPACT OF EXPERIMENTAL USE EXEMPTIONS IN PATENT LAW ON INCENTIVES TO INNOVATE. *Northwestern Journal of Technology and Intellectual Property*, Volume 4, Issue 1 (Fall 2005).

კიდევ ერთი წინააღმდეგობა შეიძლება კვლევის ინტერესებსა და საპატენტო აქტივობას შორის წარმოქმნება უნივერსიტეტების მიერ საკუთარი პატენტების ლიცენზირებისას. მაგალითად, ლიცენზიატს ხშირად **ექსკლუზიური ლიცენზიის** მიღება აინტერესებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაპატენტებულ ტექნოლოგიას ბაზარზე გასაყვანად დამატებითი ხანგრძლივი დახვეწა ესაჭიროება. სპინ-ოფის შემთხვევაში ლიცენზიატი, როგორც წესი, მცირე საწარმოა. მისთვის ლიცენზია შეიძლება უმთავრესი აქტივი იყოს. ამ წინააღმდეგობას ევროპაში კანონმდებლობა არ არეგულირებს, ანუ, მკაცრად რომ ვთქვათ, იგი *ისუ რეჟიმის* სფეროს არ განეკუთვნება. მაგრამ მისი მნიშვნელობის გამო, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ წინააღმდეგობის გადალახვის პრაქტიკას შევხვით.

უნივერსიტეტებს ექსკლუზიური ლიცენზიის გაცემის უფლება აქვთ, მაგრამ მისი გაცემა ნიშნავს, რომ **საზოგადოებრივი სიკეთე** (საზოგადოებრივი სახსრებით მიღებული პატენტი) მოხმარდება მხოლოდ ერთ ორგანიზაციას და დაიხურება სხვებისთვის. წინააღმდეგობის მოსახსნელად სალიცენზიო ხელშეკრულებებში სპეციალურ პუნქტებს ითვალისწინებენ: ხელშეკრულებაში ლიცენზიატის მხრიდან პატენტის პრაქტიკული გამოყენების დროში გაწერილი ვალდებულებები შეაქვთ და სხვა. ამით გამოირიცხება საზოგადოებისთვის ზიანის მომტანი შესაძლო ქმედებები, მაგალითად, ლიცენზიის შექმნა უბრალოდ კონკურენტების დასაბლოკად. აქ არ ვგულისხმობთ საზოგადოებრივი ინტერესის დაცვის ისეთ გავრცელებულ ღონისძიებას, როგორცაა *იძულებითი ლიცენზირება*, რომელიც პრაქტიკულად ყველა ქვეყნის კანონმდებლობითაა გათვალისწინებული და კვლევებთან სპეციფიურად დაკავშირებული არაა. აღნიშნული საკითხები დეტალურადაა აღწერილი OECD-ს მოხსენებაში "მეცნიერების ბიზნესად გარდაქმნა" (Turning Science into Business).

ფართო გაგებით, საჯარო ინტერესებისა და პატენტმფლობელების ინტერესების (თუნდაც ეს საჯარო ორგანიზაციები იყოს) შეხამების საკითხები, რომელიც პატენტების გაფართოებულმა/ახალმა ფუნქციებმა წარმოქმნეს, იმდენად რთულია, რომ მათ მოსაწესრიგებლად როგორც ცალკეული ორგანიზაციების, ასევე სახელმწიფოების დონეზე მუშავდება **მეთოდური მსაღები** (იხ. ქვემოთ, ქვეთავი 10.)<sup>47</sup>.

პატენტმფლობელის მონოპოლიამ რაც შეიძლება ნაკლები ზიანი უნდა მიაყენოს ცოდნის გავრცელებას, ანუ უნივერსიტეტებისა და საჯარო კვლევითი ორგანიზაციების უმთავრეს ტრადიციულ ფუნქციას. ეს როგორც მთლიანად ევროკავშირის, ასევე წევრი ქვეყნების სახელმწიფო საპატენტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საზრუნავია.

ერთ-ერთი ღონისძიება, რომელიც წინააღმდეგობრივი მოთხოვნების შეთავსებას უზრუნველყოფს, ე. წ. **შელავითიანი პერიოდი (grace period)**. მეცნიერს საშუალება ეძლევა გამოგონების შინაარსი გამოაქვეყნოს (მაგალითად, სტატიის სახით ან გამოფენაზე ჩვენებით),

<sup>47</sup> PATENTS AND INNOVATION: TRENDS AND POLICY CHALLENGES. OECD, 2004. ([www.oecd.org](http://www.oecd.org))

რის შემდეგ, კანონით დადგენილი დროის განმავლობაში, შეიტანოს საპატენტო განაცხადი. ჩვეულებრივ ამისთვის ერთწლიან დროის მონაკვეთს ადგენენ (ზოგიერთ ქვეყანაში 6 თვეს). დაპატენტების ამ რეჟიმს უწოდებენ "პირველია ვინც გამოიგონა" და არა "ვინც განაცხადა". იგი ათავისუფლებს მეცნიერს პუბლიკაციის დაყოვნების აუცილებლობისგან, რომელსაც დაპატენტების სურვილი იწვევს<sup>48</sup>. აღნიშნული ღონისძიება დამახასიათებელია ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობისთვის (აშშ, ავსტრალია და სხვა). ევროკავშირის ქვეყნიდან *შელავითიან პერიოდს* გამოგონებაზე პატენტების მიმართ ზოგიერთი შემთხვევაში ცნობს ესპანეთისა და პორტუგალიის კანონმდებლობა. სხვა ქვეყნების უმრავლესობა, ისევე როგორც ევროკავშირი მთლიანად ამ საკანონმდებლო ნორმის შემოღებას იხილავს<sup>49</sup>.

გერმანიაში, ავსტრიაში, ჩეხეთში და უნგრეთში 6 თვიანი *შელავითიანი პერიოდი* მოქმედებს სასარგებლო მოდელების მიმართ, ხოლო *გაერთიანების დიზაინის* მიმართ ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს 1 წლიანი *შელავითიანი პერიოდი*<sup>50</sup>.

მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს კვლევების შედეგების დაპატენტებასა და გავრცელებას შორის ზემოაღნიშნული წინააღმდეგობის შერბილების კიდევ ერთი მექანიზმი - ე.წ. **წინასწარი განაცხადის** შეტანის შესაძლებლობა (*provisional patenting*). ესაა სრულ პატენტთან შედარებით განაცხადის გამარტივებული ფორმა (აგრეთვე, არსებითად იაფიც), რომელიც გულისხმობს, რომ ამის შემდეგ კანონით დადგენილ დროში (მაგალითად, არაუგვიანეს 12 თვისა, როგორც აშშ-ში, ან 6 თვისა, როგორც სინგაპურში) გაკეთდება სრული საპატენტო განაცხადი. პრიორიტეტის თარიღად ითვლება წინასწარი განაცხადის შეტანის თარიღი. მარტივი ფორმა ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი პატენტის ფორმულის შედგენა და გამოგონების შედარებითი ღონის ჩვენება. განმცხადებელი იგებს ადრეული პრიორიტეტის მიღებით და, გარდა ამისა, უგრძობლდება გამოგონების დაცვის საერთო ვადა, რადგან დაცვის დადგენილი ვადა (მაგალითად, 20 წელი) აითვლება სრული განაცხადის შეტანის დღიდან. უნდა აღინიშნოს, რომ სრული განაცხადის შეტანა აუცილებელია. ამის არგაკეთებას შეიძლება დაპატენტების უფლების სამუდამო დაკარგვა მოყვეს. ეს ნორმა მოქმედებს აშშ-ში, ავსტრალიაში, სინგაპურში და ზოგიერთ სხვა

---

<sup>48</sup> Keith E. Maskus. Encouraging International Technology Transfer. UNCTAD-ICTSD, Issue Paper No. 7; *Turning Science into Business* (ზემოთ, სქოლიო 36); Towards a common European view on the features of a grace period. Workshop report. EUROPEAN COMMISSION, RESEARCH DIRECTORATE-GENERAL, Directorate K – Knowledge-based Economy and Society; Strategic and Policy aspects ; Investment in Research, Brussels, 14.1.2003. ([ec.europa.eu/research/era/pdf/ipr-gp-report.pdf](http://ec.europa.eu/research/era/pdf/ipr-gp-report.pdf))

<sup>49</sup> An assessment of the implications for basic genetic engineering research of failure to publish, or late publication of, papers on subjects which could be patentable as required under Article 16(b) of Directive 98/44/EC on the legal protection of biotechnological inventions. REPORT FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT AND COUNCIL, COMMISSION OF THE EUROPEAN COMMUNITIES, Brussels, 14.01.2002. (<http://eur-lex.europa.eu>).

<sup>50</sup> [http://www.ipr-helpdesk.org/documents/ES\\_GracePeriod\\_0000006559\\_00.xml.html](http://www.ipr-helpdesk.org/documents/ES_GracePeriod_0000006559_00.xml.html).

ქვეყანაში. ევროპაში იგი არაა გავრცელებული, - მოქმედებს მხოლოდ დიდ ბრიტანეთში, - თუმცა მიზანშეწონილობა აღიარებულია და მიღების შესაძლებლობა იხილება<sup>51</sup>.

ზემოთ განხილულ ღონისძიებებს შეუძლიათ გადაჭრან არსებული დილემა მეცნიერთა მხრიდან შედეგების ფართო განხილვისა და სწრაფი პუბლიკაციის სურვილსა და სიახლის მოთხოვნას შორის, რომელიც დაპატენტების დროს წარმოიქმნება. ისინი, „სამეწარმეო უნივერსიტეტების“ წარმოქმნის პირობებში, იცავენ უნივერსიტეტების საჯარო მისიას – ცოდნის გავრცელებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ინოვაციისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე დაპატენტება.

## 10. ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მეთოდური მასალების მომზადება

საჯარო და კერძო სექტორების ურთიერთქმედების პროცესში, რაც თანამედროვე ინოვაციური საქმიანობისთვის ჩვეულებრივ ამაღლ იქცა, ისუ-თან დაკავშირებული საკითხები იმდენად რთული გახდა, ხოლო საინოვაციო სფერო იმდენად დინამიური, რომ მხოლოდ კანონმდებლობის დახვეწით ყველაფერი ვერ წყდება. აუცილებელი გახდა საინოვაციო სფეროს მრავალრიცხოვანი მოთამაშეებისთვის მეთოდური სახელმძღვანელოების მომზადება. მათი მიზანია დაადგინონ და განმარტონ საჯარო ფონდებიდან მიღებული სახსრებით შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების კომერციალიზაციასთან დაკავშირებული მოქმედების წესები. საკითხის სირთულის გამო ითვლება, რომ სახელმძღვანელოები უაღრესად პოზიტიურ როლს თამაშობენ იმ ქვეყნებშიც კი, რომლებმაც წესები სათანადო (ბეი-დოულის ტიპის) კანონმდებლობით დაადგინეს, განსაკუთრებულს კი იმ ქვეყნებში, სადაც ასეთი კანონი არ არსებობს. სახელმძღვანელოებს განსხვავებული სახელები აქვთ სხვადასხვა ქვეყანაში: „*მოწინავე გამოცდილების კოდექსები*“, „*ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული პოლიტიკის სახელმძღვანელოები*“ და სხვა. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი.

### ჩანართი 2

#### ირლანდია

ირლანდიაში სამი დოკუმენტია შემუშავებული:

1. *კვლევის შედეგად მიღებული ინტელექტუალური საკუთრების მართვის თაობაზე დამფინანსებელი სააგენტოების მოთხოვნები და ვაშკვლევი*<sup>52</sup> იგი გრანტების მიმღებთათვისაა განკუთვნილი. შემუშავებაში შვიდი სააგენტო მონაწილეობდა, რომელიც ირლანდიაში კვლევებისთვის გრანტებს გასცემს. იგი განკუთვნილია, აგრეთვე, კოლაბორატორებისთვის, სპონსორებისთვის და იმ ბიზნესისთვის, რომელიც ტექნოლოგიებს ეძებს. გრანტის მაძიებელი ორგანიზაცია დოკუმენტის მოთხოვნებს უნდა

<sup>51</sup> Ian Cockburn. A Provisional Application – An important tool in the Right hands.

([http://www.wipo.int/sme/en/documents/prov\\_application.htm](http://www.wipo.int/sme/en/documents/prov_application.htm))

<sup>52</sup> Funding Agency Requirements & Guidelines For Managing Research-Generated Intellectual Property. Commercialisation Steering Group, February 2006. pp. 55. ([http://www.sfi.ie/uploads/documents/upload/IPGuidelines-FINAL\\_Feb06.pdf](http://www.sfi.ie/uploads/documents/upload/IPGuidelines-FINAL_Feb06.pdf)).

აკმაყოფილებდეს.

2. საჯარო ხარჯებით შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების მართვის პრაქტიკის ეროვნული კოდექსი<sup>53</sup>. კოდექსი კანონი არაა, იგი კონკრეტულ, ადგილობრივ გარემოებებს შეიძლება მოერგოს. მის შემუშავებელს, - ირლანდიის მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის საბჭოს (ICSTI), - შეუძლია მისი განახლება და ცვლილებების შეტანა. იგი დაინტერესებულ მხარეებს არ ავალდებულებს მას დაემორჩილოს.
3. საჯარო-კერძო კოლაბორაციით განხორციელებული კვლევის შედეგად მიღებული ინტელექტუალური საკუთრების მართვისა და კომერციალიზაციის პრაქტიკის ეროვნული კოდექსი<sup>54</sup> ICSTI-ს მიერ შემუშავებული ეს დოკუმენტიც სარეკომენდაციო ხასიათისაა.

საკმაოდ დიდი მოცულობის ეს სამივე დოკუმენტი ურთიერთდაკავშირებულია და ქვეყანაში დაგროვილ საუკეთესო გამოცდილებას ანზოგადებს.

### ჩანართი 3

#### დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთის საზინის ინიციატივით 2004 წელს ჯგუფმა რიჩარდ ლამბერტის ხელმძღვანელობით, მიმოიხილა რა არსებული პრაქტიკა, შეიმუშავა ე.წ. ლამბერტის კრებული (tool kit)<sup>55</sup>. ესაა სამოდელო კონტრაქტების კრებული, რომლიდანაც დაინტერესებულ ორგანიზაციას შეუძლია აირჩიოს ის, რომელიც მის კონკრეტული სიტუაციას ესადაგება (კოლაბორაციული კვლევა, კონსორციუმი და სხვა). საკუთრების უფლებები და შედეგების გამოყენება ამ კონტრაქტებში ერთერთი საკვანძო ელემენტია.

ამ მიმართულებით სამუშაო ჩატარდა, აგრეთვე, დანიაში<sup>56</sup>, გერმანიაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში. მეთოდური რეკომენდაციების მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ ევროკომისიამ საერთოევროპული სახელმძღვანელო შეიმუშავა<sup>57</sup>.

მართვის დამოუკიდებელ ამოცანად ჩამოყალიბდა ინტელექტუალური აქტივების ეფექტიანი მართვა, რაც მათი ღირებულების სწორ შეფასებასაც გულისხმობს. შეფასების ერთიანი მეთოდოლოგია ჯერ არ არსებობს. საკითხის სირთულის გათვალისწინებით, ფირმების დასახმარებლად ზოგიერთმა ქვეყანამ ამ სფეროში სახელმძღვანელო მასალები მოამზადა. ევროპაში ამ მხრივ პირველი იტალიაა, სადაც ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, ბანკების ასოციაციამ, ინდუსტრიის კონფედერაციამ და უნივერსიტეტების რექტორთა

<sup>53</sup> National Code of Practice for Managing Intellectual Property from Publicly Funded Research. Irish Council for Science, Technology and Innovation (ICSTI), January 2004. pp 58. (<http://www.sciencecouncil.ie>)

<sup>54</sup> NATIONAL CODE OF PRACTICE FOR MANAGING AND COMMERCIALISING INTELLECTUAL PROPERTY FROM PUBLIC-PRIVATE COLLABORATIVE RESEARCH. The National Policy and Advisory Board for Enterprise, Trade, Science, Technology and Innovation – ICSTI, November 2005. pp.54 ([http://www.forfas.ie/media/acsti051125\\_ip\\_code\\_of\\_practice.pdf](http://www.forfas.ie/media/acsti051125_ip_code_of_practice.pdf)).

<sup>55</sup> ჯგუფის მიერ მომზადებული სანიმუშო კონტრაქტები და სხვა დოკუმენტები შეიძლება იხილოს მისამართზე <http://www.innovation.gov.uk/lambertagreements>

<sup>56</sup> Contacts, contracts and codices. Research co-operation between universities and companies. Danish Rectors' Conference - Confederation of Danish Industries. 2004, pp.48.

<sup>57</sup> Commission Recommendation on the management of intellectual property in knowledge transfer activities and Code of Practice for universities and other public research organisations. EUROPEAN COMMISSION, Office for Official Publications of the European Communities, Luxembourg, 2008. ISSN 1018-5593.

კონფერენციამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას პატენტების საფინანსო-ეკონომიკური შეფასების თაობაზე<sup>58</sup>.

## 11. საგადასახადო შეღავათები

პატენტების კომერციალიზაციის მხარდასაჭერად არაერთმა ქვეყანამ მიიღო ისეთი საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც პატენტების მფლობელებსა და ავტორებს მთლიანად ან ნაწილობრივ ათავისუფლებს კომერციალიზაციით მიღებულ შემოსავალზე გადასახადებისაგან. შეღავათებს ზოგჯერ მხოლოდ უნივერსიტეტებს ანიჭებენ, უფრო ხშირად კი ნებისმიერ ორგანიზაციებსა და საწარმოებს, რომლებიც ამ გზით იღებენ შემოსავალს.

ამგვარი ყურადღება იხუ ვაჭრობის მიმართ მისი უდიდესი საინოვაციო პოტენციალით აიხსნება. პატენტებით დაცული საქონლითა და ტექნოლოგიებით ვაჭრობის წილის ზრდა ევროკავშირის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი საიმედო ინდიკატორია. ზრდის ტემპი თვალსაჩინოა: საფრანგეთში 1990 წელს უცხოეთიდან შეძენილი ლიცენზიებისგან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 330 მილიონი ევრო, ხოლო 2003 წელს - 2.4 მილიარდი ევრო. გერმანიაში იგივე მაჩვენებელი შეიცვალა 1.3 მილიარდიდან 2.7 მილიარდამდე<sup>59</sup>.

### ჩანართი 4

#### ბელგია.

ბელგიაში 2008 წლიდან მოქმედებს საპატენტო შემოსავლის 80% გამოქვითვა დასაბეგრი ბაზიდან (Patent Income Deduction), რასაც საპატენტო შემოსავლის დაბეგვის ზედა ზღვარი 33%-დან 6,8%-დე დაყავს<sup>60</sup>. მნიშვნელობა არა აქვს არის პატენტი თვითონ კომპანიის მიერ შემუშავებული თუ შეძენილი. იმ შემთხვევაში, თუ პატენტი იმპორტირებულია იგი ნაწილობრივ მაინც უნდა იყოს გაუმჯობესებული კომპანიის მიერ.

დაპატენტებული ტექნოლოგიების გადაცემის წამახალისებელი კანონები მიღებულია ნიდერლანდებში, საფრანგეთში, ლუქსემბურგში, ესპანეთში<sup>61</sup>. რამდენიმე ქვეყანაში (გაერთიანებულ სამეფოში, დანიაში და სხვა) ასეთი ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა ამჟამად იზილება.

### ჩანართი 5

<sup>58</sup> PROTOCOLLO D'INTESA SULLA VALUTAZIONE ECONOMICO FINANZIARIA DEI BREVETTI. Il Ministero dello Sviluppo Economico - L' Associazione Bancaria Italiana (ABI) - La CONFINDUSTRIA - La Conferenza dei Rettori delle Università Italiane (CRUI). SOTTOSCRITTO A ROMA IL 21 OTTOBRE 2008.

<sup>59</sup> Kamiyama, Sh., Sheehan, J., Martinez, C. VALUATION AND EXPLOITATION OF INTELLECTUAL PROPERTY. DIRECTORATE FOR SCIENCE, TECHNOLOGY AND INDUSTRY WORKING PAPER, OECD, 2006/5, pp. 48. DSTI/DOC(2006)5. www.oecd.org.

<sup>60</sup> Tom Swinnen. Tax incentives for Belgian R&D. (<http://ipfinance.blogspot.com/2008/12/tax-incentives-for-belgian-r.html>)

<sup>61</sup> Kessler, Wolfgang and Eicke, Rolf. The Emergence of R&D Tax Regimes In Europe. Tax Notes Int'l, June 9, 2008, p. 845.

([web26.tax.uni-freiburg.de/typo3/fileadmin/repository/lehrstuhl/pdf/](http://web26.tax.uni-freiburg.de/typo3/fileadmin/repository/lehrstuhl/pdf/)).



### **ირლანდია**

ირლანდიაში პატენტის ლიცენზირებით მიღებული როიალთი მთლიანად თავისუფლდებოდა გადასახადისაგან იმ შემთხვევაში, თუ პატენტი ირლანდიაში ჩატარებული კვლევითი სამუშაოს შედეგი იყო. ეს იმდენად მიმზიდველი შედეგით იყო, რომ ბევრი ტრანსნაციონალური კომპანია ცდილობდა საკუთარი კვლევითი ქვედანაყოფები ირლანდიაში დაეფუძნებინა, რითაც ირლანდია ივებდა ცოდნის მოზიდვის თვალსაზრისით. ეს გარემოება ევროკომისიის კრიტიკას იწვევდა წლების განმავლობაში, ანიჭებდა რა ირლანდიას უპირატესობას ევროკავშირის სხვა წევრებთან შედარებით. ბოლოს ირლანდიამ მიიღო კრიტიკა და შეცვალა კანონი. ამჟამად გადასახადისგან მთლიანად თავისუფლდება 5 მლნ ევრომდე შემოსავალი, მიღებული იმ პატენტებით, რომელთათვისაც კვლევა, დაგეგმვა, დამუშავება, ექსპერიმენტები, ტესტირება, კონსტრუირება ან სხვა მსგავსი ქმედებები ჩატარებულია ევროპულ ეკონომიკურ სივრცეში<sup>62</sup>. ეს ცვლილება ქმნის ირლანდიისთვის საშიშროებას, რომ კვლევითი ქვედანაყოფების განთავსება შეწყდება და ექნება ადგილი უბრალოდ ირლანდიიდან ლიცენზიების გაყიდვას (შვილობილი კომპანიების მეშვეობით).

ავლნიშნოთ, რომ პატენტების გამოყენების/ლიცენზირების წამახალისებელი შედეგათები შემუშავებულია წვერი ქვეყნების მიერ. ევროკავშირის მართვის დონეზე ამის შესახებ რეგულაცია ან დირექტივა არ არსებობს. ამავე დროს, შედეგათები ყველა ქვეყანაში სხვადასხვაა. უფრო მეტიც, შედეგათები შეიძლება განსხვავდებოდეს ქვეყნის შიგნით რეგიონებს შორის. მაგალითად, ესპანეთში ბასკეთის ავტონომიამ, ისარგებლა რა გადასახადების დამოუკიდებლად დადგენის უფლებით, კიდევ უფრო გულუხვი შედეგათები დააწესა, ვიდრე თვით ესპანეთმა ან რომელიმე სხვა ევროკავშირის ქვეყანამ<sup>63</sup>.

საგადასახადო შედეგათები ევროკავშირში (ისევე, როგორც აზიისა და ამერიკის მრავალ განვითარებულ და განვითარებად ქვეყანაში) ტექნოლოგიების დაპატენტებას, დაპატენტებული ტექნოლოგიების გამოყენებას (ანუ პრინციპული სიახლის მატარებელი ნაკეთობების წარმოებას) და ამ მიზნით მათ შემუშავებასა და შექმნას უწყობს ხელს. შექმნა შეიძლება ხორციელდებოდეს როგორც ერთიან შიდა ბაზარზე, ასევე ევროპის გარეთაც (იმპორტი). პატენტებით დაცული ახალი ტექნოლოგიების ქვეყანაში შემოდინების უზრუნველყოფა შეიძლება ორი გზით:

1. პატენტებზე ლიცენზიების შექმნით ანუ ისუ იმპორტით (რასაც შეიძლება შესაბამისი მანქანა-მოწყობილობის შექმნა თან სდევდეს ან არ სდევდეს)
2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით, რომელსაც სხვა ღონისძიებებთან (სამშენებლო, სამონტაჟო და ა.შ.) ერთად ახლავს პატენტებით დაცული ტექნოლოგიების ქვეყანაში შემოტანა.

<sup>62</sup> Review of the Exemption from Taxation of Patent Income. Goodbody Economic Consultants, February 2007. (<http://www.finance.gov.ie/documents/publications/reports/Patincometaxexgoodb.pdf>)

<sup>63</sup> Spain: Basque patent box regime: an attractive location for IP Garrigues. ([internationaltaxreview.com](http://internationaltaxreview.com))

პირველ შემთხვევაში ტექნოლოგიის მფლობელი ხდება რეზიდენტი კომპანია, ხოლო მეორეში - მფლობელი უცხოური კომპანია რჩება. ამ ორი შემთხვევის მიმართ წამახალისებელი საგადასახადო გარემო სხვადასხვანაირად იქმნება. მისი მექანიზმების მიმართ დამოკიდებულება იცვლება იმის მიხედვით, თუ როგორია ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგია. ინოვაციური ეკონომიკის მშენებელი ქვეყნები ტექნოლოგიების შემოტანის თვალსაზრისით შეიძლება იყვნენ უპირატესად ორიენტირებულნი ტექნოლოგიების შექმნაზე (ლიცენზიების შექმნაზე) ან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გზით მათ შემოტანაზე. პირველი ორიენტაციის ტიპური წარმომადგენლებია იაპონია და სამხრეთ კორეა, ხოლო მეორე - სინგაპური. ევროპაში პირველი მიმართულების მკაფიო წარმომადგენელი ძნელი გამოსაყოფია, ხოლო მეორე მიმართულების წარმომადგენელია ირლანდია. მეორე მიმართულების წარმომადგენელი ქვეყნები ზრუნავენ საერთო დადებით საინვესტიციო გარემოზე, რომელიც დაპატენტებული ტექნოლოგიების დიფუზიასაც უწყობს ხელს. ოღონდ, ინვესტიციებზე ორიენტირებული იმ მრავალი ქვეყნისგან განსხვავებით, რომლებიც ინოვაციურ განვითარებას მიზნად არ ისახავენ, ამ ქვეყნებს მკაფიოდ აქვთ ჩამოყალიბებული პრიორიტეტული მიმართულებები და პირობები, რომლებსაც ინვესტიცია უნდა აკმაყოფილებდეს, რომ უცხოელმა ინვესტორმა უხვი შეღავათებით ისარგებლოს.

## 12. სხვა ღონისძიებები

*ისუ* დაცვის და განვითარების კანონებით განსაზღვრული ღონისძიებების ერთობლიობის გარდა, რასაც *ისუ* რეჟიმს ვუწოდებთ, ლისაბონის სტრატეგიით გათვალისწინებული საინოვაციო მიზნების მისაღწევად მნიშვნელობა აქვს *ის* ეფექტიანი გამოყენების მრავალრიცხოვან ღონისძიებას, რომელიც ევროკომისიისა და ეროვნული პროგრამებისა და ინიციატივების ჩარჩოებში ხორციელდება. ასეთებია:

- ისუ დაცვის სფეროში კადრების მომზადება/გადამზადება
- საპატენტო საინფორმაციო სისტემები
- პატენტების გაცვლის საშუაშაგლო სისტემების განვითარება, ინტერნეტ-სისტემების ჩათვლით
- უნივერსალური საპატენტო მომსახურების პროვაიდერების განვითარება
- სპეციალიზებული (დარგობრივი) საპატენტო მომსახურების განვითარება
- სახელმწიფო მართვის ორგანოებში ის და ტექნოლოგიების გადაცემის ქვედანაყოფების ჩამოყალიბება

და სხვა.

როგორც *ისპო* (WIPO) ჩარჩოებში, ასევე პირდაპირი ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების მეშვეობით *ესო* უცხოეთის *ის* სააგენტოებთან თანამშრომლობს. თანამშრომლობა მრავალ შრომატევად პროცედურას აჩქარებს და აიაფებს. კერძოდ, აშშ

პატენტებისა და სავაჭრო ნიშნების ოფისს, იაპონიის საპატენტო ოფისსა და *ესო*-ს შორის 2005 წელს დადებულია ხელშეკრულება საპატენტო ძიებების ერთობლივად ჩატარების შესახებ. ძიება (სიახლის ანუ საპატენტო სისუფთავის შემოწმება) განსაკუთრებით შრომატევადი და საპასუხისმგებლო პროცედურაა. ერთ-ერთ ოფისში შემოსული განაცხადი გადაეცემა ორ დანარჩენს ექსპერტიზის ჩასატარებლად, რითაც პროცედურა ჩქარდება, ხოლო ხარისხი იზრდება სამივე ოფისის ძალების გაერთიანების შედეგად. ამით ოფისებიც და განმცხადებლებიც იგებენ. საგარეო თანამშრომლობის სხვა მიმართულებებიდან აღსანიშნავია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ჩარჩოებში პოსტ-საბჭოთა ქვეყნებთან, მათ შორის საქართველოსთან, თანამშრომლობა გამოცდილების გაზიარების, კანონმდებლობის სრულყოფისა და მეტი ჰარმონიზაციის, აგრეთვე კანონმდებლობის აღსრულების გაძლიერების მიმართულებებით. ამ მხრივ ევროკავშირი, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი *ისუ* დაცვის ტრადიციის მატარებელი საკუთარ პასუხისმგებლობასაც გრძნობს და, წმინდა პრაქტიკულად, უახლოესი მეზობლების ბაზრებსა და სისტემებს უფრო ღრმა მომავალი თანამშრომლობისთვის ამზადებს.

### 13. დასკვნა

ინტელექტუალური საკუთრება, კერძოდ კი პატენტები, თავისთავად ტექნოლოგიების გავრცელების ინსტრუმენტია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ადამიანებს ტექნოლოგიების განვითარების სტიმულს აძლევენ. მეორე იმიტომ, რომ ტექნოლოგიის გახსნას (გამოქვეყნებას) გულისხმობენ. მესამე იმიტომ, რომ გარკვეული, კანონით დადგენილი დაცვის პერიოდის შემდეგ, გამოგონება საზოგადოებრივ მოხმარებაში გადადის, რაც მისი შემდგომი დიფუზიის გარანტიაა. ბუნებრივია, რომ ინოვაციურ განვითარებაზე ორიენტირებული ევროკავშირისთვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა (*ისუ*) დაცვისა და ტექნოლოგიების გავრცელების ხელისშემწყობი რეჟიმის უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რაც *ლისაბონის სტრატეგიაში* ასახული: "2001 წლის ბოლოს ამოქმედდეს *გაერთიანების პატენტი* და *სასარგებლო მოდელი*, რათა ევროკავშირის მასშტაბით საპატენტო დაცვა გახდეს ისეთივე უნივერსალური და იაფი, როგორც კონკურენტებთან".

ევროპის მთელ ტერიტორიაზე მოქმედი *გაერთიანების პატენტის* შემოღება, საპატენტო სასამართლოსთან ერთად, ძლიერ გააიაფებდა და გაამარტივებდა დაცვის პროცედურებს, მეწარმეებსა და გამომგონებლებს მიანიჭებდა მეტ სითამამეს, რითაც მთავარ კონკურენტებთან (აშშ და იაპონია) შედარებით ევროკავშირის პოზიციას გააუმჯობესებდა. ზემოაღნიშნული *ისუ* რეჟიმის შესაქმნელად ეს საკვანძო საკითხია. მისი შემოღება ცოდნაზე ორიენტირებული ევროკავშირისთვის ერთიანი ბაზრის მშენებლობის დასრულების ნიშანი იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი ევროინტეგრაციის ღონისძიებებს

შორის ერთ-ერთი ურთულესი აღმოჩნდა (იგი ვერ გადაწყდა ლისაბონის სტრატეგიით დასახულ ვადებში), ევროკავშირი თანმიმდევრულად უახლოვდება მის გადაწყვეტას. გამარტივდა *ევროპული პატენტის* მოქმედების პროცედურები. ამოქმედდა *გაერთიანების სავაჭრო ნიშანი* და *გაერთიანების დიზაინი*. *გაერთიანების პატენტი* დარჩება ერთიანი ევროპის განვითარების დღის წესრიგში 2020 წლისთვის.

ევროკავშირმა მთლიანად, წევრ სახელმწიფოებთან და რეგიონებთან ერთად, ბევრი გააკეთა *ისუ* სფეროში აქტივობის გასაძლიერებლად საკანონმდებლო და ორგანიზაციული მიმართულებებით. *ისუ* საკითხების მნიშვნელობის აღქმა გაძლიერდა. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის რომ, რეგიონებიც კი აღიქვამენ მას, როგორც კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფ ელემენტს და სადაც შეუძლიათ, უკეთეს პირობებს უქმნიან, ვიდრე ქვეყანა მთლიანობაში (მაგალითად, ბასკეთი).

*ისუ* დაცვის საკითხები აღქმულია, როგორც *ევროპული პარადოქსის* დაძლევის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი – ევროპული მეცნიერების თვალსაჩინო მიღწევები უნდა აისახოს მისი კონკურენტუნარიანობის ზრდაში. ამისთვის საჯარო სექტორში კვლევის შედეგების *ისუ* დაცვის ხელშემწყობი მექანიზმები იხვეწება ევროკავშირისა და ეროვნულ დონეებზე. მაგრამ *ისუ* დაცვის რეჟიმების არაერთგვაროვნება მაინც სერიოზულ დამაბრკოლებელ (და გადასალახ) ფაქტორად რჩება. პრობლემები დიდწილად ეროვნული და ევროპული თანაფარდობი ტრადიციულ აღქმასთანაა დაკავშირებული.

ევროკავშირში არამომგებიანი და საჯარო ორგანიზაციების საპატენტო საქმიანობის მხარდამჭერი ღონისძიებები

|  | განვითარებული ქვეყნები |        |          |        |                 |          |         |        |              |            |            |            |        |         | გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები |                 |                 |          |           |          |         |        |   |
|--|------------------------|--------|----------|--------|-----------------|----------|---------|--------|--------------|------------|------------|------------|--------|---------|---------------------------------|-----------------|-----------------|----------|-----------|----------|---------|--------|---|
|  | ავსტრია                | სულცვა | გერმანია | დანიის | ბრიტანეთი       | ესპანეთი | ინგლისი | იტალია | ნიდერლანდები | პორტუგალია | საბერძნეთი | საფრანგეთი | ფინეთი | შვედეთი | ბულგარეთი                       | ესტონეთი        | პოლონეთი        | რუმინეთი | სლოვაკეთი | სლოვენია | უნგრეთი | ჩეხეთი |   |
| კვლევით და კომერციულ ფუნქციებს შორის ბალანსის დადგენა. | +                      | +      | +        | +      | +               | +        | +       | +      | +            | +          | +          | +          | +      | +       | +                               | +               | +               | +        | +         | +        | +       | +      | + |
| ბეი-დოლის (Bayh-Dole) კანონის ნაირსახეობის მიღება      | ● <sup>64</sup>        | +      | +        | +      | ■ <sup>65</sup> | ●        | ●       | -      | ●            | ●          | -          | ●          | ●      | -       | ?                               | ● <sup>66</sup> | ● <sup>67</sup> | +        | ●         | +        | +       | +      | ● |
| „პროფესორის პრივილეგიის“ გაუქმება                      | +                      | -      | +        | +      | -               | +        | +       | -      | +            | +          | -          | +          | +      | -       | ა                               | ა               | ა               | ა        | ა         | ა        | ა       | ა      | ა |
| დაპატენტების ხარჯების შემცირება                        | +                      | +      | +        | +      | +               | +        | +       | +      | +            | +          | -          | +          | +      | +       | +                               | +               | +               | +        | +         | +        | +       | +      | + |
| უნივერსიტეტებში კომპანიების დაფუძნების ხელშეწყობა      | +                      | +      | +        | +      | +               | +        | +       | +      | +            | +          | -          | +          | +      | +       | +                               | +               | +               | +        | +         | +        | +       | +      | + |
| საგადასახადო შეღავათები საპატენტო შემოსავლებზე         | -                      | +      | -        | -      | -               | +        | +       | -      | +            | -          | -          | +          | -      | -       | -                               | -               | -               | -        | -         | -        | +       | -      | - |
| ლიცენზირებისას პატენტის შემდგომი                       | +                      | +      | +        | +      | +               | ?        | +       | ?      | +            | +          | -          | +          | -      | +       | -                               | -               | -               | -        | -         | -        | -       | -      | - |

<sup>64</sup> • ნიშნით აღნიშნულია ის ქვეყნები, სადაც ბეი-დოლის იდეოლოგიის გაზიარება მხოლოდ „პროფესორის პრივილეგიის“ გაუქმებით შემოიფარგლა.

<sup>65</sup> ■ ქვეყნები, სადაც ბეი-დოლის ძირითადი დებულებები განხორციელებული იყო აშშ-ში ბეი-დოლის მიღებამდე და მაღალი შედეგებიც იყო მიღწეული.

<sup>66</sup> ესტონეთში სის-ზე უნივერსიტეტების მფლობელობა მათი წესდებებით ისახლდება. კანონი ამის შესახებ არაფერს ამბობს.

<sup>67</sup> პოლონეთში, სლოვაკიაში, უკრაინაში საპატენტო კანონი აცხადებს, რომ პატენტზე უფლებები ავტომატურად ეკუთვნის დამქირავებელს, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კონტრაქტით. საჯარო კვლევით დაწესებულებებთან მიმართებაში, ეს ბეი-დოლის კანონის ანალოგიურია.

|  |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |    |   |
|--|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|----|---|
| <i>კვლევებისთვის გამოყენება</i>  |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |   |    |   |
| <i>პატენტების უნებართვო გამოყენება<br/>კვლევაში (research exemption)</i>         | + | + | + | + | + | + | + | + | + | + | + | + | + | + | + | + | + | + | + | + | + | +  | + |
| <i>გამომგონებლისთვის შეღავათიანი<br/>პერიოდის მინიჭება (grace period)</i>        | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | + | + | - | + | - | - | 68 | - |
| <i>წინასწარი განაცხადი შემდგომი<br/>დაპატენტებისთვის (provisional patenting)</i> | - | - | - | - | + | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | -  | - |
| <i>მეთოდური მასალების მომზადება</i>  | + | + | + | + | + | - | + | + | - | - | - | ? | ? | - | - | - | - | - | - | - | - | -  | - |

<sup>68</sup> უნგრეთში და ზოგიერთ სხვა აღმოსავლეთევროპულ ქვეყანაში შეღავათიანი პერიოდი (ჩვეულებრივ, 6 თვე) ვრცელდება მხოლოდ ოფიციალურ გამოფენებში მონაწილეობაზე, ხოლო სამეცნიერო პუბლიკაციაზე - არა.

## ლიტერატურა

- Agreement on the application of Article 65 of the Convention on the Grant of European Patents. Official Journal EPO, 12/2001, p. 550 (<http://www.epo.org/patents/law/legal-texts/london-agreement.html>)
- An assessment of the implications for basic genetic engineering research of failure to publish, or late publication of, papers on subjects which could be patentable as required under Article 16(b) of Directive 98/44/EC on the legal protection of biotechnological inventions. REPORT FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT AND COUNCIL, COMMISSION OF THE EUROPEAN COMMUNITIES, Brussels, 14.01.2002. (<http://eur-lex.europa.eu>).
- An Industrial Property Rights Strategy for Europe. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL AND THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE. Brussels, 16.7.2008, COM(2008) 465 final
- B. van Pottelsberghe de la Potterie and D. François. The cost factor in patent systems. *Université Libre de Bruxelles – Solvay Business School – Centre Emile Bernheim*, CEB Working Paper N° 06/002, 2006 (<http://www.solvay.edu/EN/Research/Bernheim/documents/wp06002.pdf>)
- Commission Recommendation on the management of intellectual property in knowledge transfer activities and Code of Practice for universities and other public research organisations. EUROPEAN COMMISSION, Office for Official Publications of the European Communities, Luxembourg, 2008. ISSN 1018-5593.
- COMPENDIUM OF PATENT STATISTICS. OECD, 2008 (<http://www.oecd.org/dataoecd/5/19/37569377.pdf>)
- Contacts, contracts and codices. Research co-operation between universities and companies. Danish Rectors' Conference - Confederation of Danish Industries. 2004, pp.48.
- Convention on the Grant of European Patents of 5 October 1973 - European Patent Convention (EPC). (<http://www.epo.org/patents/law/legal-texts/html/epc/2000/e/contents.html>).
- Copyright in the Knowledge Economy. GREEN PAPER Brussels, 16.7.2008 COM(2008) 466 final (<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2008:0466:FIN:EN:PDF>)
- Council Regulation (EC) No 40/94 of 20 December 1993 on the Community trade mark.
- Council Regulation (EC) No 6/2002 of 12 December 2001 on Community designs.
- დავით გაბუნია, გიორგი თაქთაქიშვილი. *საერთაშორისო საავტორო სამართალი: ბერნის კონვენცია, რომის კონვენცია, TRIPS-ის შეთანხმება. ანალიზი და კომენტარები*. საქპატენტი, თბილისი, 2005, 280 გვ.
- DENT, Chris, JENSEN, Paul, WALLER, Sophie and WEBSTER, Beth. Research Use of Patented Knowledge: A Review. STI Working Paper. Intellectual Property Rights. DIRECTORATE FOR SCIENCE, TECHNOLOGY AND INDUSTRY, OECD, 17-Mar-2006, pp. 53. DSTI/DOC(2006)2. (<http://www.oecd.org/dataoecd/15/16/36311146.pdf>)
- Development and implications of patent law in the field of biotechnology and genetic engineering. REPORT FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL AND THE EUROPEAN PARLIAMENT. COMMISSION OF THE EUROPEAN COMMUNITIES, Brussels, 14.07.2005 COM(2005) 312 final (SEC(2005) 943)
- DIRECTIVE 2001/29/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 22 May 2001 on the harmonisation of certain aspects of copyright and related rights in the information society. Official Journal of the European Communities, 22.6.2001, L 167/10 EN (<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2001:167:0010:0019:EN:PDF>)
- Directive 98/71/EC of the European Parliament and of the Council of 13 October 1998 on the legal protection of

- designs. Official Journal, L 289 of 28.10.1998
- Directives 91/250/EEC , 92/100/EEC , 93/83/EEC , 93/98/EEC and 96/9/EC.
- DRAFT Report on the outcomes of the: "Public consultation on transnational research cooperation and knowledge transfer between public research organisations and industry". EUROPEAN COMMISSION, RESEARCH DIRECTORATE-GENERAL, Directorate M - Investment in Research and links with other policies, political aspects, private investment, relations with EIB. Brussels, 1 September 2006, M1/FM-DD D(2006). ([http://ec.europa.eu/invest-in-research/pdf/download\\_en/consult\\_report.pdf](http://ec.europa.eu/invest-in-research/pdf/download_en/consult_report.pdf))
- Enhancing the patent system in Europe. Communication from the Commission to the European Parliament and the Council of 3 April 2007, COM(2007) 165 final - Not published in the Official Journal
- European anti-counterfeiting and anti-piracy plan. Council Resolution of 25 September 2008, Official Journal C 253 of 4.10.2008 ([http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32008G1004\(01\):EN:NOT](http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32008G1004(01):EN:NOT))
- Funding Agency Requirements & Guidelines For Managing Research-Generated Intellectual Property. Commercialisation Steering Group, February 2006. pp. 55. ([www.sfi.ie/uploads/documents/upload/IPGuidelines-FINAL\\_Feb06.pdf](http://www.sfi.ie/uploads/documents/upload/IPGuidelines-FINAL_Feb06.pdf)).
- Ian Cockburn. A Provisional Application – An important tool in the Right hands. ([http://www.wipo.int/sme/en/documents/prov\\_application](http://www.wipo.int/sme/en/documents/prov_application)).
- Iles, Kevin. A COMPARATIVE ANALYSIS OF THE IMPACT OF EXPERIMENTAL USE EXEMPTIONS IN PATENT LAW ON INCENTIVES TO INNOVATE. Northwestern Journal of Technology and Intellectual Property, Volume 4, Issue 1 (Fall 2005).
- ინტელექტუალური საკუთრების საკითხები სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკაში: პატენტები. გამოკვლევის ანგარიში. ინფორმაციისა და ლოკუმენტაციის საქართველოს ფედერაცია, თბილისი, 2009. 55 გვ.
- IPR in nanotechnology: Lessons from experiences worldwide. International workshop, European Patent Office (EPO) and DG Research of the European Commission, 16 April 2007, Brussels. (<http://cordis.europa.eu/nanotechnology/src/iprworkshop.htm>).
- Kamiyama Sh., Sheehan J., Martinez C. VALUATION AND EXPLOITATION OF INTELLECTUAL PROPERTY. DIRECTORATE FOR SCIENCE, TECHNOLOGY AND INDUSTRY WORKING PAPER, 2006/5, DSTI/DOC(2006)5. ([www.oecd.org](http://www.oecd.org)).
- Kessler, Wolfgang and Eicke, Rolf. The Emergence of R&D Tax Regimes In Europe. Tax Notes Int'l, June 9, 2008, p. 845. ([web26.tax.uni-freiburg.de/typo3/fileadmin/repository/lehrstuhl/pdf](http://web26.tax.uni-freiburg.de/typo3/fileadmin/repository/lehrstuhl/pdf)).
- Knowledge sharing in the European Research Area. Report of the ERA Expert Group, European Commission, Directorate-General for Research, 2008. EUR 23323 EN .
- Leydesdorff, Loet & Meyer, Martin. The Decline of University Patenting and the End of the Bayh-Dole Effect. *Scientometrics*, (2010) forthcoming.
- Maskus, Keith E. Encouraging International Technology Transfer. UNCTAD-ICTSD, Issue Paper No. 7
- NATIONAL CODE OF PRACTICE FOR MANAGING AND COMMERCIALISING INTELLECTUAL PROPERTY FROM PUBLIC-PRIVATE COLLABORATIVE RESEARCH. The National Policy and Advisory Board for Enterprise, Trade, Science, Technology and Innovation – ICSTI, November 2005. pp.54 ([http://www.forfas.ie/media/acsti051125\\_ip\\_code\\_of\\_practice.pdf](http://www.forfas.ie/media/acsti051125_ip_code_of_practice.pdf)).
- National Code of Practice for Managing Intellectual Property from Publicly Funded Research. Irish Council for Science, Technology and Innovation (ICSTI), January 2004. pp 58. (<http://www.sciencecouncil.ie>)



PATENTS AND INNOVATION: TRENDS AND POLICY CHALLENGES. OECD, 2004. ([www.oecd.org](http://www.oecd.org))

P. VAN EECKE, J. KELLY, P. BOLGER and M. TRUYENS. Monitoring and analysis of technology transfer and intellectual property regimes and their use. National summaries. Results of a study carried out on behalf of the European Commission (DG Research), 2009, pp.247. ([http://www.eutechnologytransfer.eu/files3/national\\_summaries.pdf](http://www.eutechnologytransfer.eu/files3/national_summaries.pdf))

Proposal for a COUNCIL DECISION conferring jurisdiction on the Court of Justice in disputes relating to the Community patent (presented by the Commission), Brussels, 23.12.2003 COM(2003) 827 final 2003/0326 (CNS)

Proposal for a COUNCIL DECISION establishing the Community Patent Court and concerning appeals before the Court of First Instance (presented by the Commission), Brussels, 23.12.2003 COM(2003) 828 final 2003/0324 (CNS)

PROTOCOLLO D'INTESA SULLA VALUTAZIONE ECONOMICO FINANZIARIA DEI BREVETTI. Il Ministero dello Sviluppo Economico – L' Associazione Bancaria Italiana (ABI) - La CONFINDUSTRIA - La Conferenza dei Rettori delle Università Italiane (CRUI). SOTTOSCRITTO A ROMA IL 21 OTTOBRE 2008.

Public Research Commercialisation Survey: Denmark 2008. Series: *Innovation: Analysis and Evaluations*, 13/2009. Danish Agency for Science, Technology and Innovation. pp. 34. ([en.fi.dk/publications/2009/public-research-commercialisation-survey-denmark-2008/Kommercialisering-UK-2008.pdf](http://en.fi.dk/publications/2009/public-research-commercialisation-survey-denmark-2008/Kommercialisering-UK-2008.pdf))

Review of the Exemption from Taxation of Patent Income. Goodbody Economic Consultants, February 2007. (<http://www.finance.gov.ie/documents/publications/reports/Patincometaxexgoodb.pdf>)

Schumpeter, Joseph A. *Theory of Economic Development: An inquiry into profits, capital, credit, interest and the business cycle*, 1911.

Singh, Guriqbal Jaiya and Kalanje, Christopher M. Managing Patent Costs: An Overview. WIPO, ([www.wipo.int/sme/en/documents/pdf/managing\\_patent\\_costs.pdf](http://www.wipo.int/sme/en/documents/pdf/managing_patent_costs.pdf))

Spain: Basque patent box regime: an attractive location for IP Garrigues. ([internationaltaxreview.com](http://internationaltaxreview.com))

The Bayh-Dole Act at 25. BayhDole25, Inc., April 17, 2006, pp. 44. ([http://www.bayhdole25.org/sites/bayhdole25.org/files/BayhDole25\\_WhitePaper\\_20060417.pdf](http://www.bayhdole25.org/sites/bayhdole25.org/files/BayhDole25_WhitePaper_20060417.pdf))

The US Bayh-Dole Act. (Public Law 96-517, The Patent and Trademark Law Amendments Act enacted 1980 and amended in 1984)

Tom Swinnen. Tax incentives for Belgian R&D. (<http://ipfinance.blogspot.com/2008/12/tax-incentives-for-belgian-r.html>)

Towards a common European view on the features of a grace period. Workshop report. EUROPEAN COMMISSION, RESEARCH DIRECTORATE-GENERAL, Directorate K – Knowledge-based Economy and Society; Strategic and Policy aspects ; Investment in Research, Brussels, 14.1.2003. ([ec.europa.eu/research/era/pdf/ipr-gp-report.pdf](http://ec.europa.eu/research/era/pdf/ipr-gp-report.pdf))

Turning Science into Business: PATENTING AND LICENSING AT PUBLIC RESEARCH ORGANISATIONS. OECD, 2003, 308 p.

WIPO Copiright Treaty 1996 ([http://www.wipo.int/treaties/en/ip/wct/trtdocs\\_wo033.html](http://www.wipo.int/treaties/en/ip/wct/trtdocs_wo033.html))